ბრძოლა

ყოველთვიური ფურცელ ხაქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«LA LUTTE»—Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 5 ფრ. | პარიზი, ნოემბერი 1926. № 17. Paris, Novembre 1926. | Prix 5 Fr.

1725
1926

ინდუსტრიალიზაცია.

რუსეთის კომუნისტური პარტიის ოპოზიცია და პოზიცია მორიგდენ პარტიული დისციპლინის ნიადაგზე. მარა ვერ მორიგდენ პოლიტიკის ნიადაგზე და თვითეული ბანაკი დარჩა თავის საკუთარ მოძღვრების ფარგალში. მათ შორის ატეხილი დავა ტრიალებს ერთ ძირითად საკითხის გარშემო, რომლის სხვადასხვა ნაირი გადაჭრა აყალიბებს ორ სხვადასხვა იდეიურ მიმდინარეობას ერთდაიმავე ორგანიზაციულ ჩარჩოში. ეს საკითხია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამ ზომის საპირისპიროში ორივე ჯგუფი თანასწორად დარწმუნებულია. მის აუცილებელ გატარებას ორივენი ერთნაირად თხოულობენ, განსხვავდაა მხოლოდ საშუალებებში.

საბჭოთა კავშირი ეკონომიურად წარმოადგენს განმარტოვებულ სახელმწიფოს. ის არ შედის მსოფლიო ეკონომიურ სისტემაში და არ ემორჩილება აქ გამეფებულ კანონებს. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის საკითხი იქ დგას არა ისე, როგორც ყოველგან, არა ინტერნაციონალური ეკონომიკის ფორმაში, არამედ წმინდა რუსულ ნაციონალურ სამოსელში. გამოცალკევებულ ნივთიერ ურთიერთობაში სამრეწველო განვითარება შეიძლება მოხდეს წმინდა შინაგანი რესურსებით და სწორეთ ამ რესურსების ძებნაშია ღღეს ბოლშევიკები. ინდუსტრიალიზაციის ეს ნაციონალური ფორმა გამოცადებულია დოგმათ. ბოლშევიზმის პოლიტიკაურ ეკონომიათ, ხოლო მასში დაეკვეთა უმაღლეს მოღალატეობათ. ინტერნაციონალურ კაპიტალზე დაყრდნობა ნიშნავს საბჭოთა სალტის გარღვევას, გამოცალკევებული მეურნეობის მოსპობას და ევროპის საადმიცემო კანონების რუსეთზედაც გავრცელებას. თავისთავათ ცხადია, რომ კრემლი ამ თავისთავის დასასრულს ებრძვის და ორივე ხელით თავის კერას ებღაუპეტა.

მაშასადამე, გადასაჭრელია შემდეგი პრობლემა: რანაირათ შეუძლია საბჭოთა კავშირს თავისი შინაური საშუალებებით სამრეწველო განვითარება, აგრარიული ქვეყნის ინდუსტრიალურ ქვეყნათ გადაქცევა.

ეს ამოცანა გულისხმობს მეორეს—რა გზით შეიძლება კაპიტალის დაგროვება და მისი მრეწველობაში დაბანდება. მრეწველობის განვითარება პირველყოფილისა კაპიტალის გამრავლება და განვითარებაა. ცხადია, კაპიტალის დაგროვება არის ძირითადი საკითხი არა მარტო რუსეთის, არამედ ყველა ჩამორჩენილი ერის, რომელსაც კი სურს ეკონომიური აღორძინება და თანამედროვე ერათ გადაქცევა. ეს კი შეკავშირებულია ქვეყნის საერთო სოციალურ მდგომარეობასთან, მის ეკონომიკასან და პოლიტიკასან. ამ მხრით, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სრულიად თავისებურ ერთეულს მსოფლიო ეკონომიკასან შეთარგიან. მან სამკვიდროთ მიიღო დიდძალი კაპიტალი საწარმოოო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის საშუალებით. მარა ეს ქონება მან ვერ შეინახა და ნაწილი მისი ღირებულებისა დაკარგა. რაკოვსკის ცნობით სამრეწველო კაპიტალს დააკლდა 32 პროც. ღირებულებისა. მრეწველობა მოითხოვს მისი კაპიტალის მუდმივ განახლებას, მისი ტეხნიკის მუდმივ ზრდას და გადასხვაფერებას. ერთ დონეზე შენახუ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლი საწარმოო იარაღები ფუჭდება. ინგრევა, სამუშაო ძალა ეცლება. ამ უღმობელი ტეხნიკური აუცილებლობის მსხვერპლია საბჭოთა მრეწველობა. მარა ამ საწარმოო დაუძლურებამ გამოიწვია ერთი დიდი შედეგი—ქვეყნის აგრარიზაციის გაძლიერება. სამრეწველო შრომა კარგავს მოპოვებულ პოზიციას და უკან იხევს სამეურნეო შრომის წინაშე. ომის წინ ქვეყნის მთელი შემოსავალი უდრიდა 11.740 მილიონ ოქროს მანეთს. ამაში სასოფლო მეურნეობა იძლეოდა 6.270 მილიონს, მრეწველობა 5.620 მილ. ე. ი. შრომის ორი დარგი თითქმის უთანასწორდებოდა ერთიმეორეს თავისი ნაყოფიერებით.*) რუსეთი მედგრათ შედგა ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ახლა კი რიკოვის ცნობით სასოფლო მეურნეობა იძლევა 11 მილიარდის, ხოლო მრეწველობა 5 მილიარდის საერთო შემოსავალს. ე. ი. მეურნეობა იძლევა ორჯერ მეტს, ვინემ მრეწველობა (პრავდა 23 ოქტომბერი 1926). **) მთელს სახალხო ეკონომიკაში მრეწველობის ნაყოფიერება ჩამოქვეითებულა ორჯერ, ხოლო სასოფლო მეურნეობის გაზრდილა ამდენჯერვე. ამიტომ რიკოვი სამართლიანათ შენიშნავს, რომ ამ ორივე წარმოებამ ფწლითი წლობამდე ერთნაირი პროცენტითაც რომ იზარდოს მოხდება ქვეყნის აგრარიზაცია» («ზარ. ვას.» 12 მარტი). დღეს გაცილებით მეტი მცხოვრებია ჩაბმული მეურნეობაში, ვინემ ეს იყო წინეთ. ამ მხრით საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყნების უკან დგას, გარდა ინდოეთისა, რომელსაც ის მაარს უშვენებს (ვოტ. II, 5). აი ამ აგრარიზაციისაგან წარმოსდგება ცნობიერი ბისპროპორცია სამრეწველო და სამეურნეო ნაწარმოებთა შორის. მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოთხოვნილებას და სოფელი იძულებულია თავის შიგნით აინაზღაუროს სამრეწველო დანაკლისი. შინა მრეწველობა (კუსტარი) ვითარდება და იპყრის ქვეყნის ეკონომიკაში საპატიო ადგილს. ამით აგრარიზაცია კიდევ უფრო ძლიერდება, ნატურალური მეურნეობა მაგრდება. თუ წინეთ სოფლის ნაწარმოების 32 პროც. საქონლის სახეს იღებდა, (იქ. I, გვ. 179). ახლა ეს მცირე რაოდენობაც დიდათ დაკლებულა. ბაზრის პირობები აიძულებს გლეხს რაც შეიძლება ნაკლები ნაშრომი გაიტანოს გასაყიდათ. ეროთ სიტყვით, მრეწველობის დაუძლურება, საქონლის მეურნეობის შემცირება და ნატურალური მეურნეობის გაძლიერება—აი დღეკანდელი საბჭოთა ეკონომიკის ძირითადი მდგომარეობა.

ასეთ პირობაში მრეწველობას საკუთარი ფეხით სიარული არ ძალუძს და ის იძულებულია მიმართოს საგანგებო ზომებს თავის დასაცავათ. ე. ი. მას არ ძალუძს თავისი ნაწარმოების ნორმალური ალებ-მიცემობით, წმინდა საქონლის ბრუნვით შეინარჩუნოს არსებობა და განვითარდეს. ის ვერ უძღვება ვერც კერძო მრეწველის, ვერც კუსტარის თავისუფალ მოცილეობას. საბჭოთა ფაბრიკა დაემსგავსა ბატონ-ყმობის დროინდელ ფაბრიკას, როცა კუსტარი მას ეცილებოდა და არღვევდა. ნატურალური მეურნეობის ელემენტები ჭარბობენ სამრეწველო ელემენტებს და მას ერევიან. აი ამ მდგომარეობაში ძევს საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის ყველა ფესვები.

ამნაირათ საბჭოთა მრეწველობა და ბურჟუაზიული მრეწველობა იმყოფებიან ორ სხვადასხვა ნივთიერ მდგომარეობაში. პირველს არ შეუძლია განვითარება თავისი საკუთარი, წარმებისაგან გამომდინარე ეკონომიური კანონებით, კაპიტალის ნორმალური საწარმოო მოღვაწეობით. მეორე კი პირიქით ცოცხლობს და იზრდება კაპიტალის საწარმოო ურთიერთობით, საკუთარი ჯიბით და ხარჯით. აქ კაპიტალის ბატონობა სრულია, მრეწველობის მეურნეობა საზოგადო სისტემაა. იქ კი კაპიტალის ბატონობა საზღვარდადებულია, ის საბატონოთ მოუმწიფებელია და ამიტომ საჭიროებს გარეშე ეკონომიურ ძალის დახმარებას, ეს პოლიციური კაპიტალია. ამ განსხვავებიდან გამომდინარეობს განსხვავება ინდუსტრიალიზაციისა. კაპიტალის დაგროვე-

---

*) ეოიტინსკის «მსოფლიო ციფრებში», ტ. I. გვ. 182 (რუსულ ენაზე).

**) ბოლშევიკების სტატისტიკას უნდა მიეკუთნოს შედარებითი ნდობა. სხვადასხვა პირები იძლევიან სხვადასხვა ციფრებს ომის დაგვარათ, თუ ვის რის დამტკიცება სურს. მაგ. კეუინშვის ციფრები არ ეთანხმება რიკოვისას, მარა პროპორცია ორივეს ერთი და იგივე აქვთ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხდება კაპიტალისტური წესით, წარმოებით და ადგმ-მიცემობით. სიბეჭოთა საზოგადოებაში კი ეგვეე პროცესი ხდება პოლიციური წესით, ძალადობის დახმარებით. აქ მუშმივი, შეუჩერებელი ექსპროპრიაცია სხვისი ქონების მთავარი წყაროა მრეწველობის არსებობის. ეს სხვისი ქონების წაგლეჯა წარმოებს ორი სახით—წარმოებაში მუშის დამორჩილებით, გაცვლით—ვლეხის და მასთან ერთათ მთელი საზოგადოების გაყვეტფით. სიბეჭოთა მრეწველობის ბოძია პროლეტარიატის და გლეხობის საწველ ფურათ გადაქცეცა «კანონით», სახელმწიფოს ძალმომრეობით.

ამით, ბოლშევიკებს რასაკვირველია არაფერი ახალი არ უთქვამთ. ისინი მხოლოდ იმეორებენ ჩვილი კაპიტალიზმის პირველ პერიოდს, როცა ახალდამდაებულ მრეწველობას სახელმწიფო ეხმარებოდა. რაკი მრეწველობამ ერთხელ ფეხი აიდგა, ის იძულებულია განვითარდეს, ერთ დონეზე გაჩერებული წარმოება ინგრეგა. მარა მრეწველობის გასავითარებლათ აუცილებელია საკონლის მასიური დამზადება და იაფათ გასაღება. ეს კი შეიძლება მხოლოდ განვითარებულ მრეწველობაში. გამოდის რომ ინდუსტრიალიზაციის მიუცილებელი პირობაა ინდუსტრიალიზაცია! ამ ლართის გახსნა არ შეიძლება წმინდა ეკონომიური საშუალებით. ის უნდა გაიჭრას ხმლით და კიდევაც ამ გზით იჭრება ყოველგან. გლეხთა პირდაპირი ექსპროპრიაცია, ბოლშევიკების გაძარცვა, მუშების დამორჩილება,—ინ მთავარი საშუალებანი კაპიტალის დასაგროვებლათ მე-17—18 საუკუნეში. «ყველა ეს მეთოდი, სწერს მარქსი, ხშირათ წარმოებდა უხეში ძალმომრეობით, როგორც მაგ. კოლონიალური სისტემა. ყველა ისინი სარგებლობენ სახელმწიფო ხელისუფლებით. ამ საზოგადოების შეკავშირებული და შეერთებული ძალით, იმისთვის, რომ დაჩქარონ ფეოდალური საწარმოო წესის გადასხვაფერება კაპიტალისტურათ და შემოკლონ გადასავალი საფეხურები. ძალმომრეობა წარმოდგენს ბებია ქალს ძველი საზოგადოებისათვის, რომელიც კი მძიმეთ არის ახალითა. ის თვითონ არის ეკონომიური ძალა» (კაპიტალი, ტ. I). ძალადობის საგანია მხოლოდ ისინი ვინც «ქმნიან დირებულებას»—შრომელნი: მუშები და გლეხები. ხოლო შემდეგ ამ გზით გალინერებული ინდუსტრია თვით იმორჩილებს მშრომელთ თავისი საკუთარი ეკონომიური წესებით.

სიბეჭოთა ქურუმები სრულიად არ ფიქრობენ თავისი მრეწველობა მიუშვან თავის ბუნებრივ განვითარებას. ოპოზიცია და პოზიცია ერთხმათ ითხოვენ ეკონომიკის სახელმწიფოს ოპეკაში ჩატოვებას. განსხვავება იწყება მხოლოდ შემდეგ. უმცირესობა სახელმწიფო მახვილს უფრო გლეხების წინააღმდეგ მიმართავს, ხოლო უმრავლესობა იმავე მახვილს პროლეტარიატს უმიზნებს. არც ერთი არ უარყოფს დღეს არსებულ ცარცვას ვლეხის და მუშის, დამებენ მხოლოდ მათ კიდევ უფრო გაცარცვაზე. რას ითხოვენ ისინი?

ოპოზიცია მოითხოვს კაპიტალის დაგროვებას გლეხობის ხარჯით. თუ ინგლისის სახელმწიფომ კაპიტალი გაზარდა გლეხთა მიწების წართმევით. სიბეჭოთა სახელმწიფომ ამავე მიზანს უნდა მიაღწიოს გლეხთა ნაშრომის წართმევით. ეს ერთნაირი კოლონიალური სისტემის გავრცელებაა გლეხობაზე. ოპოზიცია მოკლებული, მართალია, «გლეხურ ილიუზიებსი», მარა სამაგიეროთ მოკლებული ისტორიულ პერსპექტივასაც. ინგლისში საქმე ეხებოდა ფეოდალურ საწარმოო სისტემის კაპიტალისტურათ შეცვლას, ე. ი. საწარმოო ძალოონის აღორძინებას; რუსეთში კი საქმე ეხება კერძო კაპიტალისტური წარმოების სახელმწიფოთ შეცვლას, საწარმოო ძალის დასუსტებას. აქ იცვლება არა შრომის სისტემა, არა უდაბლესი საფეხური უმაღლესათ, არამედ შეწარმოებელის ვინაობა, ერთი ბატონი მეორე ბატონათ. რაკი საზოგადოება აქედან არაფერს არ იგებს, ცხადია ვერც გაიღებს ისეთ მსხვერპლს, რომელსაც სხვა პირობებში გაიღებდა.

გლეხობის დარბევა უუპეველათ მოამზადებს მასალას მრეწველობისათვის კაცით და ბაზრით. მარა ამისათვის საჭიროა თვით მრეწველობამ შეისვას მუშათა ეს ახალი არმია და მით გააფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნეობის რაციონალიზაცია ერთი მხრივ, მრეწველობის აღორძინება მეორე მხრივ. საბჭოთა სინამდვილეში, სადაც მრეწველობას სუფი კბილით უჭირავს, ჩვენ მივიღებთ პაუპერებს და მეურნეობის გავერანებას.

ოპოზიციის წინადადება არის უტოპიური და რეაქციონური.

რას უპირველეს პირებს მას პარტია?

პარტიას, როგორც ვთქვით, სიმძიმის ცენტრი გადმოაქვს მუშის შრომაში, კაპიტალის დაგროვების ეკონომიურ პროცესში. ამ ზომის გატარებას ადგილებს მუშის უუფლებობა და დამორჩილება. თუ გლეხს ორთმეევ ზედმეტ ნაოფლარს ფასების და გადასახადების პოლიტიკით, პროლეტარს ფაქტიურად სუტარიფო პოლიტიკით. რაკი წარმოება იმდენით სუსტია, რომ არ შეიძლება მისი ოპენიდან განთავისუფლება, ცხადია მუშის თავისუფალ მოძრაობას ის ვერ გაუძლებს და იძულებულია ამ მტრისაგან თავი დაიფაროს. მარქსი სწერს:

«საქმეთა ჩვეულებრივ მდგომარეობაში მუშა შეიძლება მიშვებულ იქნას «წარმოების ბუნებრივ კანონებზე», ე. ი. კაპიტალის იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც გამომდინარეობს თვით წარმოების ბუნებებისაგან, რითაც ის მეტიკიდება და ხანგრძლივდ[illegible]საგრამ ეს ასე არ იყო კაპიტალისტური წარმოების ისტორიულ დასაწყისში. ა[illegible]ალი ბურჟუაზია მაშინ სარგებლობდა სახელმწიფო ძალით მუშის ქირის «ოფელობრივისაკენ», ე. ი. იმისთვის რომ ის ჩასუფდოს და ჩიეტიროს იმ საზღვრებში, რომელიც აუცილებელია ზედმეტი ღირებულების შესაქმნელად, სამუშაო დროის გასაგრძელებლათ და თვით მუშის საკმაო დამოკიდებულებაში დასაჭერათ. ეს არსებითი მომენტი ეგრეთ წოდებული ბირეულდაწყებითი დაგრაგვებისა» (იქ).

საბჭოთა მრეწველობაში მუშა არ არის «მიშვებული წარმოების ბუნებრივ კანონებზე», არ აქვს თანამედროვე მუშის უფლებები, უფლებები ბრძოლის და თავის დაცვის. ამიტომ მაინ ინდუსტრიალიზაციის მთავარ ბოძათ გამოტანა დიდი იმედების მომცემია. «მუშათა მთავრობა» რასაკვირველია დიდის ყურადღებით გაურბის საგნისათვის სამდგილი სახელის დარქმევას, პირიქით [illegible] გაეკეთებს პირდებიან. მათ რომ დაუჯერთო, ინდუსტრიალიზაცია ხდება არა მუშის ძალოანით, არამედ რაღაც თრლისმით—ბომბერნეობით, მოხელეთა ალაგმვით, ბიუროკრატიისათვის, შეძახ-შემოძახებით—ერთი სიტყვით ჩაეფლეს წმინდა ეულგაულ პოლიტიკურ ეკონომიაში. რაკოვის ეზრით მუშათა ინტერესებს არ უნდა შეეხოს ეკონომიის რეკიმი («პრავდა» 23 ოქტომბერი), ხოლო მათი მთავარი სტატისტიკოსი სტრუველი უფრო შორს მიდის. ის ამტკიცებს ციფრებით, რომ მუშის ხელფასი იზრდება უფრო სწრაფათ, ვინემ მუშის შრომის ნაყოფიერება (იქ. 16 ოქტომბერი). ე. ი. მუშა მეტს იღებს, ვინემ ის აკეთებს. [illegible] მაშ რა საშუალებით შეიძლება კაპიტალის დაგროვება, თუ არა მუშის ძალ[illegible]

კაპიტალი გროვდება მუშისაგან შექმნილი ზედმეტი ღირებულებით. რაც მეტია ეს უკანასკნელი, მით მეტია პირველი. მთელი წლის ნამუშიერი არის მთელი წლის მუშაობის ნაყოფი. ღირებულება მისი უნდა იყოს მეტი, ვინემ მის დამუშავებაზე დიახარჯა; წინანადდეგ შემთხვევაში არავითარი მოგება არ იქნებოდა. აი ეს ზედმეტი ღირებულება მიუმატა დახარჯულ ღირებულებას შრომამ. ეს განსხვავება ნაწილდება მრეწველს, ვაჭარს და სხვა არა მშრომელ კლასთა შორის. ამ გზით შექმნილი კაპიტალის ნაწილი ისარჯება პატრონთაგან თავის პირად საპიროებაზე, დანარჩენი ხმარდება მრეწველობის და ვაჭრობის გაფართოებას.

«კაპიტალის დასაგროვებლათ საჭიროა პირველ ყოვლისა გამოტახლ ექნას აღებ-მიცემობიდან ერთი ნაწილი ზედმეტი ღირებულებისა [illegible]ალის სახით. მისი თავის მოყრა იმდენათ, რომ საკმარისი გახდეს ძველი წარმოების [illegible]ფართოებლათ ან ახალის დასაწყებათ» (კაპიტალი ტ. II), ცხადია, ინდუსტრიალიზაციის ერთათ ერთი წყარო ზედმეტი ღირებულებაა; ამიტომ მუშის ქირა ვერასოდეს ვერ დაეწევა მისი [illegible]ის ნაყოფიერებას, ვინაიდან ეს იქნებოდა თვით წარმოების დანგრევა და ამით მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ეკონომიკის გაგაცვება. ბოლშევიკების მიერ დღეს წამოყენებული სამეცნ. წყლო თეორიები უბრალო გამეორებაა ვულგარული ეკონომისტების, რომელნიც მუშის ექსპლოატაციას მაფარებენ სამეგობრო სიტყვიერებით. პარტიამ უარყო რა ოპოზიციის წინადადება, აშენებინა ეკონომ. პროლეტარიატის ზედმეტ ღირებულებას. შეიძლება კი ამ საბუთებით საბჭოთა სამრეწველო განვითარება? დღევანდლამდე დავაა საბჭოთა მრეწველობის მოგებაზე. ბურჟუაზიულ წარმოებაში ამ საფრიზი მუდამ სრული სინანულია. წასაგები დარგი იხურება. საბჭოთა სინანდვილეში ფრიცხვ სტატისტიკოსებს წაგება-მოგება ვერ უანგარიშიათ. და ეს იმიტომ რომ საბჭოთა მრეწველობა,არ არის სასიცოცხლო საქმიანობა, მის სახდგარში კაპიტალი არ გროვდება. აქ შეიძლება დაიბანდოს ახალი თანხები, მარა ეს იქნება მოპოვებული არა წარმოებიდან, არამედ ვაჭრობიდან.

კაპიტალის პრიმიტიული ფორმა არის სავაჭრო კაპიტალი. განვითარებულ ეკონომიკაში კი პირიქით, კაპიტალის ფორმა სამრეწველო კაპიტალია და ის ბატონობს ვაჭრობაზე.

საბჭოთა ეკონომიკა დაყრდნობილია სავაჭრო კაპიტალზე და მას მორჩილებს მრეწველობა. მრეწველობის ეგრეთ წოდებული «მოგება» გამომდინარეობს არა საქონლის ტრიალის კანონებისაგან, არამედ მონოპოლიური მდგომარეობისაგან. ე. ი. წმინდა იურიდიული უფლებრივი ხდება წყაროთ ფულის დაგროვებისა. ხელისუფლება თავის უვარგის და ეიფ საქონელს ყიდის გაცილებით მეტ ფასებში, ვინმე ის ღირს და ეს განსხვავება გადადის ბის ჯიბეში.

რჩეული ამბობს: «ლენინმა საერთოთ ძლიერ ბევრს იხდის ზედმეტს სამრეწველო საქონლის მაღალი ფასების გამო» («პრ.» 31 ოქტ.). ბოლშევიკების ანგარიშით ეს ზედმეტი უდრის მილიარდ მანეთს (ეკონ. ყ. 1 ოქტ.). ხოლო რამდენი ქალაქმა გადაუხადა ამ ეზით ხელისუფლებას—არაკინ იცის. მუშათა კლასი და მოსამსახურენი ისეთივე საწველი ფურია მონოპოლიური მრეწველობის, როგორც გლეხობა. ამავე მიზანს ემსახურება საგარეო ვაჭრობის მონოპოლია (ვნეშტორგი). შემოტანილი საქონელი იყიდება ხშირათ 200-300 პროცენტით ზედნადებით (ეკონ. ობ. ინსვრი). ამიტომ ვაჭრობის მნიშვნელობა საერთო ეკონომიკაში დიდათ გაიზარდა ომის წინა დროსთან შედარებით. ცესეუს მეთაური პოპოვი სწერს, რომ «ვაჭრობის წესით ხდება კერძო და სოციალისტური დაგროვება». ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხობა «ვაჭრობას და გადასახადს თვლის საშუალებათ მისთვის საქონლის წასართმევათ სამაგიროს მიუცემლათ» (ეკ. ყ. 29 მარტი 1925). ლენინის ცნობილი ლოზუნგი—ისწავლეთ ვაჭრობა (და არა მრეწველობა) ხატავს საბჭოთა ეკონომიკის ძირითად მიმდინარეობას—სავაჭრო კაპიტალის გაბატონებას.

აშნაირათ, მრეწველობა ღებულობს ზედმეტ თანხებს არა წარმოებისაგან, არა საბრეწველო სიმდიდრის დაგროვებისაგან, საქონლის მასიურათ დამზადებასა და იიფათ გაყიდვისაგან, როგორც ეს ხდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. არამედ კომერციული მოგებისაგან. იაფი საქონლის ძვირათ გაყიდვით, არა-სამრეწველო დარგების ნაშრომის და მუშა-მოსამსახურეთა ჯამგაგრების ექსპროპრიაციით. მაშასადამე, მრეწველობის წყაროა არა მის მიერ ახალი ღირებულებათა შექმნა, არამედ სხვის მიერ შექმნილის განაწილება, თავის სასარგებლოთ. რაკი მთელი ქვეყანა ამ საშუალებით იყვლიფება, ცხადია თანხაც დიდძალი უნდა გროვდებოდეს და ინდუსტრიალიზაციაც სწრაფი ტემპით ვითარდებოდეს. ნამდვილათ კი თანხა მართალია დიდძალი გროვდება, მარა ინდუსტრიალიზაცია ვერ ტარდება. რატომ? იმიტომ რომ სავაჭრო კაპიტალი ფიქტიური კაპიტალია.

და მართლაც. ვაჭრობა—ეს არსებულ საქონლის გაცვლა-გამოცვლაა; ერთიმეორის აქ მოტყუება სრულიად აორ სცალის საქონლის რაოდენობას, ქვეყანას ამით არავითარი სიმდიდრე არ ემატება. საქონლის ტრიალიდან ახალი საქონელი და მასში ჩაქსოვილი ზედმეტი ღირებულება არ იქმნება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვაჭარი იგებს არა მუშტრისაგან, არამედ მუშისაგან: მრეწველი მას უნაწილებს ზედმეტ ღირე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბელებას. ამიტომ აქ ფაბრიკანტი და კომერსანტი ერთნაირათ დაინტერესებულნ არ-
რაც შეიძლება მეტი საქონელი დამზადდეს და გასაღდეს. ფასების დაკლება, რაიც
ნიშნავს შრომის განაყოფიერებას, ერთათ-ერთი ფართშალია კაპიტალის დაგროვების.
საბჭოთა საზოგადოებაში, პირიქით, საქონლის ძვირათ გაყიდვა. მაშასადამე ნაკლები
საქონლის დამზადება. მთავარი წყაროა მოგების და კაპიტალის შეძენის. მარა აქ ხდება
ერთი მოულოდნელი მოვლენა. კომერციული ბანკრიკებით დაგროვილი კაპიტალი არ
არის ნამდვილი კაპიტალი, არ არის ნამდვილი სიმდიდრე, ის სიმდიდრე იქნება იმ
შემოხვევაში, რომ მისი პატრონი, მრეწველობა, თვითონ მხოლოდ ყიდდეს და არა-
ფერს ყიდულობდეს, როგორც ამას სრული ჩარჩი. კომერციული მოგება მხოლოდ ჩა-
რჩის ხელშია სიმდიდრე, ის მას ინახავს, ასესხებს, ჩარჩობს. მრეწველი კი მრეწველობს,
ე. ი. ყიდულობს ნედლ მასალას, შრომის ძალას, მანქანებს და ამათი საშუალებით
დამზადებულ საქონელს ყიდის. აქ ყიდვა-გაყიდვაში იხატება საწარმოოო პროცესი.
და აი, როცა მრეწველმა თავისი საქონელი გაყიდა ძვირათ და გახარებული თვი-
თონ იწყებს ყიდვას—უცებ ხედავს, რომ მისთვის საქონელიც გაძვირებულა
და სიხარული სევდათ ეცვლება. ხდება ბაზრის ფასების გადანასწორება. მუშა, იძუ-
ლებული იყიდოს ფართოული აწეული ფასებში, იძულებულია ამ ხარჯის დასაფარავათ
თავისი შრომაც გაყიდოს აწეულ ფასებში. ასევე სრადის ნედლი მასალის და სანოგადის
გამყიდველი. მთელი საბჭოთა მეურნეობა ეწყობა ან ცდილობს შეეწყოს სამრეწველო
საქონლის ფასების ხაზზე, რომ ნელ-ნელ ფასებ ან ნაწილობრივ მაინც.

ბრძოლა კომერციის ნიადაგზე წარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში ფელისუფ-
ლებას და საზოგადოებას შორის და მხოლოდ ის ჯამი, რომელიც ხელისუფლებას ამ
ბრძოლის შედეგად დარჩება, ხდება მრეწველობის «მოგებათ». ამ ფინდის როდენობა
ძნელი გამოსარკვევია: კუბინშვილ ცნობით წელს მრეწველობას დარჩა 474 მილიონნი
მოგება (პრავდა, 24 ოქტ.); მარა ამ თანხის გამოთვლის პროცესი ბურუსით არის მო-
ცული. ეს მართლა მოგებაა, თუ ბანკის და ბიუჯეტის დახმარებაა შიგ მითვლილი—
არავინ უწყის.

დაუშვათ, რომ ეს თანხები ანგარიშში მიღებულია. რჩება მეორე საკითხი: მოგე-
ბის ნაწილი ხმარდება შუდმივი კაპიტალის განახლებას? არა, არ ხმარდება და სწორეთ
ამიტომ დგას ასე მწვავეთ ინდუსტრიალიზაციის საკითხი. ე. ი. მუდმივი კაპიტალის ის
ნაწილი, რომელიც ცვდება და მაშასადამე საქონელში შედის როგორც მისი ღირებულე-
ბის ელემენტი, არ უბრუნდება კაპიტალს, არ იფარება გაწეული ხარჯი და ირიცხება
წმინდა მოგებათ! შეუმჯ ძირითადი კაპიტალის გახდა წყარო მოგების! ბურჟუაზიული
ბუხჰალტერიას ასეთი ანგარიში წაგებაში შეაქვს; შედეგია წარმოების გაკოტრება.
საბჭოთა მრეწველობა ფაქტიურათ გაკოტრებულია და თუ არ ისურება—ამის მიზეზია
სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სისტემატიური დახმარება.

ამნაირათ, საბჭოთა მრეწველობის მოგება შედეგია ერთი მხრით ძირითად კა-
პიტალის ნგრევის, ხოლო მეორე მხრით საბაზრო ფასების «რეგულირებ(ა)ის». მასში
შეერთებულია პომეშჩიკური უანგარიშობა და ჩარჩული აღებ-მიცემობა. შეიძლება,
ამ თანხის ინდუსტრიალიზაციაზე მოხმარა? არა, არ შეიძლება და ეს იმიტომ რომ
მრეწველობას ეპირება საბრუნებელი თანხა მუშის დასაქირავებლათ და ნედლი მა-
სალის შესაძენათ. ამ თანხის შუდმივ კაპიტალათ გადაქცევა დასცემს წარმოებას. ამას
კარგათ ხედავს თვით კუბინშვილი, რომელიც ამბობს: «რასაკვირველია ამ მოგების
მრეწველობიდან ამოღება დიდათ საეჭვია. უნდა ითქვას რომ საბრუნავი» თანხა მრე-
წველობას მეტათ მცირე აქვს. მიუხედავათ ამისა ამ თანხიდან მოგების ამოღება კაპი-
ტალური ხარჯების დასაფარავათ წარმოადგენს აუცილებლობის» (იქ.).

ამნაირათ, მრეწველობის შიგნიდან, ნელი ნაყოფის ბოლშევიკურ აღებ-მიცემობ-
ბისაგანაც, ყოველად შეუძლებელია სამრეწველო განვითარება. ხელისუფლება იძულე-
ბულია მიმართოს სხვა წყაროს. რიკოვის მიერ წარდგენილ და მე-15 კონფერენციის
მიერ მოწონებულ ტეზისებში დასახელებულია ორი ასეთი წყარო: სახელმწიფო ბიუ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲣᲢᲘ და კერძო კაპიტალი (პრაᲒᲘ 23 და 30 ოᲥტ.). მისი სიტყვით, ბიუᲯᲯᲣᲢᲘᲡ მთელი ᲥᲝᲛᲐᲠᲘᲡ მრᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲘᲡ უკანასკᲜᲔᲚი სამი წლის განმავლობაში უᲙᲠᲘᲡ მილიარდ სამას მილიონᲘ მანეთს. რომლისაგან უკან დაᲑᲠᲣᲜᲓᲕᲔᲡ მხოლოდ 567 მილიონᲘ. მრᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ინასᲒᲘს ხალხი, მთელი საᲭᲝᲒადოᲒᲘᲡ თავᲘᲡი ნაᲠᲗᲣᲚᲐᲠᲘᲗᲐ. მარა ეს არის მხოლოდ შენახვა, არსებულ დაᲬᲣᲚებᲣᲚებᲗᲐ ამᲬᲘᲡᲐᲒᲐ და არა მისი ᲒᲐᲜᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ და განახლᲔᲑᲐ. ბიუᲯᲯᲣᲢᲘᲡ საᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ინდუსტრიალიზაᲪᲘᲐ ᲨᲣᲛᲔᲚᲔᲑᲔᲚი. რატომ? ბიუᲯᲯᲣᲢᲘ ნიᲨᲜᲐᲕᲡ არა ახალი სიმდიდრის შᲔᲥᲛᲜᲘს, არამᲔᲓ შᲔᲥᲛᲜᲘლის ადგილის ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲔᲚᲐ, ᲪᲘᲗᲮᲠᲘᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲮᲜᲘᲡᲐᲜ დალᲐᲒᲔᲑᲐ. ამიᲢᲝᲛ ილ ტრიალᲔᲑᲘᲡ სავᲐᲯᲠᲝ კაპᲘᲢᲐᲚᲘს ᲑᲠᲣᲮᲘᲡᲘ ფარᲒალᲘ. რაც მᲔᲢᲘს ᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ მოᲥალᲐᲥᲔᲑᲘ, მით მᲔᲢᲘს ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲘᲜ ᲐᲘᲜᲐᲮᲚᲔᲗᲝᲠᲣᲚ თავᲘᲡი ნაᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲘᲠᲘᲠᲔᲑᲐ. ᲐᲜᲣᲠᲐᲯᲐᲠᲣᲚ კაᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲒᲔᲑᲐ ᲪᲘᲗᲮᲠᲘᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲜᲘᲠᲐ, მარა მას ყიდვის ძალა დაᲙᲐᲚᲡᲐ ᲛᲘᲒᲠᲘᲡ; მრᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ დრტᲘᲜᲘᲐᲒᲘᲡ. შეიძლᲔᲑᲐ ითქᲕᲐს: რაც უᲤᲠᲝ დიდია გადასახᲐᲓი, მით უᲤᲠᲝ ნაᲙᲚᲔᲑᲘᲐ ინდუსტრიალიზაᲪᲘᲐ. რეალური დახმარება შეიძლება გასᲬᲝს კერძო კაპიტალმა, უᲪᲣᲤᲝᲚᲔᲚი. მისი ᲒᲐᲓᲐᲠᲕᲔᲑᲐ ნიᲨᲜᲐᲕს კერძო წარმოᲑᲘᲡ გაძლიერᲔᲑᲐს და შრომის განაᲬᲘᲠᲔᲑᲐს. მარა საᲑᲭᲝთა კავᲨᲘრში ეს ხომ კონტრაᲓᲐᲜᲓᲔᲑᲐ. აქ ის სასტიკათ იდეᲒᲜᲔᲑᲐ; რიკოᲕᲘს ანᲒარიშით სახელმწიᲤᲝᲡ შემᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ კასაში ამᲬᲛᲐთ ინასᲒᲘს მხოლოდ 6 პროც. მეᲠᲘᲗ დროᲘᲡ შენახᲕᲘᲚი თანხᲘᲡ. ᲒლეᲑᲘᲡ წინეთ ინასᲒᲘდა მთელი თანხᲘᲡ 23 პროც. ახლა კი 3 პროც. საერთო ᲒᲐᲫᲝᲢᲙᲘᲗᲐ, წᲒრილი კაპიტალის განიᲒᲔᲑᲐ აშკარაა. ამას ერთვᲘს სახელმწიᲤᲝსადმი საᲣᲤᲐᲚᲝᲜᲘᲐ უნდᲝᲑᲚᲝᲑᲐ. მიბარებული თანხᲘᲡ Გარანტია არ არის. საᲑᲭᲝთა ხელისუფᲚᲔᲑᲐ ერთი ხელით ეᲬᲘᲜᲔᲑᲐ კერძო კაპიტალს, მეᲝრე ხელით მას ანᲒრᲔᲕს.

ᲒᲐნᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ ინდუსტრიალიზაᲪᲘᲘს მთავარი მომᲬᲔᲠᲘა კრᲔᲓᲘტი. საᲑᲭᲝთა ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ მართალია ბანკᲔᲑი არსᲔᲑᲝᲑᲔᲑ, მარა მათ საკუთარი კრᲔᲓᲘტი არ აქᲕᲗ, რაკი არ არის კერძო კაპიტალისტური სისტემა, ცხადია არ არის არც კერძო კაპიტალის დაᲒრᲝᲕᲔᲑᲐ და ბანკᲔᲑᲘᲗ დაᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ბანკი, ისე როგორც ტრესტი, სახელმწიᲤᲝ დაწესᲔᲑᲣᲚᲔᲑაა; ის ბიუᲯᲯᲣᲢᲘ და ᲔᲛᲘᲜᲘᲐს შეᲣᲤᲠᲔᲑᲐ. დარჩა საკᲜᲚᲔᲑᲘს კრᲔᲓᲘტი, რაც ᲛᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘა ტრესტᲔᲑᲘ შᲝᲠᲘს. მარა აქაც ᲭᲘᲠᲘᲡტეᲑᲘ ᲢᲘᲠᲔᲚᲘა, მთᲔᲚᲘ არ ასᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘს ᲐᲜᲒᲐᲠᲘშᲘს და მთავარᲘᲡ აᲬᲘᲜᲔᲑᲐ კისᲘᲠᲗᲔ. სხვანაირათ არც შეიძლᲔᲑᲐ იყოს. საკᲜᲚᲔᲚი კრᲔᲓᲘტი მოᲘᲜᲐᲮᲠᲔᲑᲘს ბანკᲘს Გარანტიას, ეს კიდეᲑᲘ საკრᲔᲓᲘტო სისტᲔᲛᲐ—ერთი სიტყვით განᲔᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ მდგომარეᲝᲑᲐს.

საᲛᲠᲔᲕᲚᲝ ალᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ წარმᲝᲑᲘს ᲐᲒᲠᲝᲗᲕᲔᲒ კაპიტალᲘᲡ კონᲪᲔᲜᲢრაᲪᲘᲘთ; სხვილი კაპიტალი ამარᲪᲮᲔᲑᲘს პატარას და თვითონ დიდდᲔᲑᲐ. რუსეთში ეს მოᲛᲧᲚᲔᲑᲐ ᲮდᲔᲑᲐ, მარა იძლᲔᲕᲐ საᲭᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲝᲗ შᲔᲓᲔᲒᲘ. და ეს იᲜᲘᲪᲛᲘᲗ რომ სუᲠᲘᲡ კაპიტალი მარᲪᲮᲔᲑᲘს არა ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲜᲘ საკᲘᲜᲐᲜᲝᲑᲘᲗ, არა კონᲪᲔᲠᲜᲘᲪᲘᲘთ, არამᲗᲔ სახელმწᲘᲤᲝ ძალმომრᲔᲣᲚᲝᲑᲘთ, «კანონით». და აი აᲯ ყოᲕᲔᲚ დღე მᲝᲠᲩᲔᲑᲐ ის, რაც ერთხელ ფარაᲝნს დაესიზᲛრა: მᲬᲔᲚ ძროᲮᲘᲡ ᲧლაპᲐᲕᲔᲚ სუᲤᲔᲚᲘ და რჩᲔᲑᲘᲐᲜ მᲬᲔᲚ. ხელისუფᲚᲔᲑᲐმ ხელში ჩაიᲒᲠᲗ ᲧᲕᲔᲚა კაპიტალი და დარჩა უკაპიტალოთ! რეᲫიმის ასეთი სამაᲒალითო ᲒაᲯᲝტრᲘᲡ ისტᲝრიას არ ᲐᲮსᲗᲐ.

ᲪᲜᲝᲑᲘლია, რომ ᲥᲕᲔᲧᲜᲘს ინდუსტრიალიზაᲪᲘა იწᲧᲔᲑᲐ პირᲕᲔᲚ ᲧᲐᲓᲘᲚᲘს იმ დარᲒᲔᲑიდან, რომᲚᲔᲗᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ნაᲙᲚᲔᲑᲘᲗᲐ ეᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗᲐᲗ მუᲨმᲘᲠᲘ კაპიტალი და მᲨᲣᲨაᲝᲓმე, მᲐᲗი ამᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲘᲠᲔᲚი. ასეთია მთამᲐᲓᲜᲔᲚი. ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ მიᲠᲗ მᲝᲪᲘᲗᲮᲔᲚი სიმᲓᲘᲠᲔ—კაპიტალი. აქ საᲭᲘᲠᲝა ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓი კაპიტალი—მᲣშაᲝᲑᲘᲗი და მᲪᲘრეᲕᲠᲝᲕᲜᲘ ტᲔᲮნიკური ᲜᲐᲘᲐᲠᲔᲑᲘ. ნახᲨᲘრᲘმᲐ შეᲫᲚᲝ ინᲒᲠᲔᲚი, ნავთᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲝᲑᲣᲚი შᲔᲪᲘᲗᲮᲔᲚი. ᲧᲕᲔᲚᲐ ეს დოᲕᲚᲝᲑᲘᲗ საᲑᲭᲝთა კავᲨᲘრᲘᲗ უᲬᲘᲐთ მოᲘᲜᲐᲮᲕᲔᲑᲐ, მთავარᲘᲡ ᲘᲜᲘᲗ ᲘᲜᲘᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ მთᲔᲚი სიმᲓᲘᲠᲔ—ნახᲨᲘრი. ნავთი, ᲠᲣᲜᲔᲑᲘ, ᲨᲠᲘᲚᲔᲑᲘ და სხ. და სხ. მიᲬᲘᲜᲔᲑᲐᲕᲗ ამᲘᲡა არც ერთი დარᲒᲘ წარმᲝᲑᲘა ისე დაᲪᲘᲚᲔᲚი არ არის, როგორც სწᲠᲐᲤი ამათის. მუშᲘს ხელᲘᲡᲐᲨᲘ აქ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ უᲤᲠᲝ ნაᲙᲚᲔᲑᲘა, მაგ. ნახᲨᲘრᲘს უშა იᲚᲔᲑᲘს ᲝმᲘს წინა დროᲘს ᲭᲘრᲘს 61 პროც.; მᲐᲛᲐᲡᲐᲮᲐᲛᲘ აქ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ მᲔᲢი უნდა შეᲫᲚᲔᲡ, ᲗᲘᲜᲓᲐ ᲝმᲘს წინ. ნამდᲕᲘᲚᲐთ კი მთᲔᲚი წარმᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲐᲚ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია და ხაზინა ადებს. სხვა დარგების ინდუსტრიალიზაცია ხომ გაცილებით უფრო ძნელია; მიიმე ინდუსტრია მოითხოვს დიდძალ მუდმივ კაპიტალს ბრუნვას გრძელ ვადებში. შეუძლებელი გახდა ახალი რკინის გზების გაკვანა; ამ დარგის მთელი მუშაობა მიმართული ძველი ლინიდაგის შენახვაზე. მარა ავათმყოფი ლოკომოტივებით და ვაგონებით სასესა ყველა პარკები. კუთბიშევის სიტყვით, მეტალურგიული მრეწველობა იძლევა ზარალს; ხოლო ეს დარგია სწორეთ საფუძველი ინდუსტრიალიზაციის. შედარებით ადვილია მსუბუქი ინდუსტრიის განვითარება (ქსოვილების, შაქრის და სხ.), სადაც საქონელის და მაშასადამე კაპიტალის ბრუნვა სწრაფია და მოკლე დროში პატარა თანხა დიდათ იზრდება. საბჭოთა კავშირში ესეც წელმოწყვეტილია; საქონლის მთელ შიმშილობას სწორეთ ეს დარგები იწვევენ. ხალხი იძულებელია შინამრეწველობას მიმართოს. მართალია, საქსოვი ქარხნები იძლევიან «მოგებას» ამ სიტყვის საბჭოთა მნიშვნელობით, მარა შედეგია სასოფლო-ტეხნიკური კულტურის დავარდნა რასაც იწვევს, რიკოვის სიტყვით, ფასების პოლიტიკა: «ჩვენ დაუშვით ფასების დიდი დაწევა სელზე და სხვა ტეხნიკურ კულტურაზე. შედეგია ტეხნიკური კულტურის ნაყოფის დაკვმა». ამიტომ მთავრობა იძულებულია უცხოეთიდან შემოიტანოს ბამბა, მატყლი, ტყავი, და სხვ., რაც უდრის მთელი იმპორტის 40 პროცენტს (იქ). ინდუსტრია ანგრევს თავისავე საფუძველს—ნედლი მასალის მეურნეობას. აქ «მოგება» ნიშნავს გლეხის გაყვლეფას როგორც მწარმოებელის და როგორც მუშტრის.

ამნაირათ საბჭოთა სინამდვილე არ იძლევა არავითარ ნიადაგს ქვეყნის სამრეწველო აღორძინებისათვის. ინდუსტრიალიზაციის მართლა გატარებისათვის. რატომ? მიზეზი ერთია, მარქსი სწერს: «საქონლის წარმოების ნიადაგზე დიდ ინდუსტრიას შეუძლია არსებობა მხოლოდ კაპიტალისტურ ფორმაში» (კაპ. ტ. I). რუსეთში კი დიდი ინდუსტრია ინახება არა-კაპიტალისტურ ფორმაში, საქონლის მთელი ეკონომიკა წარმოებს არა საქონლის ეკონომიური კანონების თანახმათ *) და რა გასაკვირალია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ალაგას მისი აგრარიზაციის მოწმეხი ვიყოთ. ბოლშევიკური «ინდუსტრიალიზაცია» შეიწირავს პროლეტარიატის აუარებელ შრომას, გლეხის აუარებელ ქონებას, მთელი საზოგადოების აუარებელ ნაოფლარს. მარა ტვირთი ადგილიდგან მაინც არ დაიძვრება. ნამდვილი ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს კაპიტალისტური კანონების ამოშავებას და მის ფარგალში კვრძა, სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიული მეურნეობის თანასწორი უფლებით მოთავსებას.

აშკარაა, საბჭოთა წარმოების ძირითადი საკითხი არა მისი ინდუსტრიალიზაცია, არამედ მისი ემანსიპაცია. საქონელი მზადდებოდა და იყიდებოდა საშუალო საუკუნეშიაც, მარა ჯერდან არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ ხდებოდა, ვინაიდან მას ებრძოდა ფეოდალური საწარმოო შორკილები. საბჭოებმა კომუნიზმი უარყო, ნეპი შემოიღო, მარა არ უარყო კომუნიზმის პოლიციური ფორმა, მისი სოციალური ჩარჩო, რომლის ფარგალში ჩაყენა კაპიტალისტური მეურნეობა—საქონლის წარმოება. აი ეს ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ელემენტები ერთმანეთს ებრძვიან, ერთათ ვერ თავსდებიან და იძლევიან საერთო ეკონომიურ და სოციალურ უძლურებას. ამ ფარგლის გარღვევა, ეკონომიური ეკლეკტიზმის მოშლა და ერთი სათავის აღდგენა—ერთათ ერთი თავდებია ინდუსტრიალიზაციის. ეს გარღვევა მოხდება ძალით თუ ნებით, ორივე შემთხვევაში ეს იქნება რუსეთის დიდი რევოლიუცია, მისი საბოლოოთ შესვლა ევროპის ხალხთა ოჯახში...

ნ. ჟ.

---

*) იხ. «საბჭოთა ეკონომიკა» (ბრძოლა № 15).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲮᲘᲚᲕᲐ.

როცა ადევნებ თვალყურს ევროპის და განსაკუთრებით ინგლისის პრესის შეხედულებას რუსეთის ამბებზე, თვალში ეცემა ერთი რამ: ევროპის საზოგადოებრივი აზრს საერთოდ სწორად აქვს წარმოდგენილი დღეკანდელი რუსეთის ვითარება, რუსეთის საკითხის მნიშვნელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ეს აქტი გადამჭრელად მიაჩნდა ანგორის მოსკოვიდან ჩამოშორების საქმეში, ვიყოთ; არ გვინდა რაიმე ილუზიები დავთესოთ ჩვენ წრეებში. აღმოსავლეთში მდგომარეობის კონსოლიდაცია ისეთი რთული საქმეა, რომ მისი ერთი დაკვრით მოგვარება საეჭვოა. კიდევ ბევრი დაბრკოლებაა დასაძლევი. რომ ქვეყნის ამ კუთხეში დიდი ომის მიერ აშვებული ძალები დაწყნარდეს და კალაპოტში ჩადგეს. იმდენ იმედებს ამყარებდა მოსკოვი ახლის რევოლიუციებზე ევროპის წინააღმდეგ, რომ ის ასე ადვილად ამას ხელს ვერ შეუშვებს. მართალია, მას კბილები ძალზე აქვს ჩამტვრეული, მაგრამ «თუ კბენს არა, ღრენას მაინც შეეცდება». დღეს სწორედ ამ «ღრენასთან»— ანუ უკეთ რომ ვთქვათ—მორიგ დიპლომატიურ შანტაჟთან გვაქვს საქმე. არც მეტი, არც ნაკლები. რაზეა დამყარებული ასეთი შეხედულება? მდგომარეობის ობიექტიურ ანალიზზე. მართლადაც, რა ასულდგმულებს მოსკოვის დღეკვანდელ საგარეო პოლიტიკას? რა ამოცანა აქვს მას დასახული? იგივე, რაც მის საშინაო პოლიტიკას. რეკიმის ხსნა ინ კატასტროფიდან, რომელიც დღითი დღე ახლოვდება. მე ვიცი, რომ ჩვენი რწმენებება «ობიექტელზე» შთაბეჭდილებაა ვერ ახდენს. რამდენჯერ აღიარებული მოახლოვებული კატასტროფა, ბოლშევიკურმა ტირანიამ კი მეცხრე წლისთვი დიდის ზეიმით იდღესასწაულა! მაგრამ ჩვენთვის ეს ბრწყინვალე პარადები ხომ ჭირის დროს ქეიფია. დღეს განუკურნებელ ბრმების გარდა ყველა ხედავს, რომ კომუნისტური რეჟიმი გაკოტრდა. მოსკოველ დიკტატორთა ერთად ერთი სახრუნავი საგანია ძალა-უფლების რაც შეიძლება მეტი ხნით შენარჩუნება და ეს კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ ევროპის დახმარებით. კრედიტები, რა ფასიც არ უნდა დაგვიჯღეს!—ეი ის ლოზუნგი, რომლის ირგვლივ ტრიალებს მოსკოვის მთელი ენერგია შინაურ და გარეშე პოლიტიკის სფეროში. ამ ლოზუნგს შეეწყობა ზვარაკად ზინოვიევი და მისი კომპანია. ამავე მიზანს ემსახურება ოდესის შეხვედრაც. ვერაკენი ასე ახასიათებდა ლიბერალების ტაკტიკას—«მოგვეცით კონსტიტუცია, თორმე ისინი (რევოლიუციონერები) გესვრიანენ. დაახლოვებით ასეთივე იქნება ჩიჩერინის კიდო ევროპაში მოგზაურობის დროს—«მოგვეცით კრედიტები, თორმე ახალი ერთა ლიგას დაგიარსებთ, ოსმალეთს სამხედრო კავშირით შეეკავრებთ, ჩინეთში აჯანყებებს განვაგძობთ და სხ. ამას ქვია სხვისი სისხლით ვაჭრობა. ცინიზმი ამაზე ბოროტ ვერ ზევა. მაგრამ ეს ხომ ახალი არ არის. ესეც ძველია, როგორც ქვეყანა: ამაშიაც ვერ იჩენენ ბოლშევიკები ორიგინალობას. გასჭრის კი ეს ინტაბაზობა? მართალია, წარსულში ევროპამ ბევრი შეცდომები ჩაიდინა. მართალია ისიც, რომ მოსკოვისათვის კრედიტების აღმოჩენის საქმეში ბევრი გაფლენინენ პირები და წრეებიც პირადთან არიან დაინტერესებული, *) მაგრამ დრო მოსკოვის წინააღმდეგ მუშაობს. ევროპაში ბურუსი საკმაოდ გაიფანტა. ევრმანია ერთა ლიგაში შეედი და ევროპის კონსოლიდაციის საქმეს ემსახურება. ინგლისი ქვანაბშირის გაფიცვის ფაქტიური ლიკვიდაცია ხდება (მოსკოვის ჩარევამ ეს საქმე დაღუპა); მუშათა საერთო ფრონტი კომინტერნს ხელიდან გაუსხლტა. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა თითქმის განთავისუფლდა ბოლშევიკურ ილუზიებისაგან. ყოველივე ეს გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ჩიჩერინის ინტაბაზობა ვერ გასჭრის. თვით მის კონტრაგენტმა, ანგორამ, მწარე გამოცდილებით იცის, რომ მოსკოვის დაპირება ჩალათ არ ღირს. გავიხსენთ ახლო წარსულის ისტორია. შარშან, როცა ერთა ლიგამ მოსკოვის საკითხი ოსმალეთის წინააღმდეგ გადასწყვიტა, ჩიჩერინმა სამხედრო კავშირის მაგიერ ნეიტრალიტეტის პაქტი უქადნა თავის მეგობარ ტეფფიკ-რუშდი-ბეის პარიზში, ეს ყოველივე იციან ევროპაში. ისიც კარგად იციან, რუსეთი «გაუსწორებელი» პაციფისტია; პაციფისტი ძალაუნებურად, ვინაიდან მისი წინეთი არმია დიდი დამსჯელი რაზმია და არა ჯარი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; არც ის არის საიდუმლოება, რომ ნივთიერთი გაკოტრებულს, მათხოვარ სახელმწიფოს ომის წარმოება არ შეუძლია. თუ ეს ასეა, როგორ მოსტყუვდა ანგორა, რატომ გაება მახეში და ბრმა იარაღათ გადაიქცა მოსკოვის ხელშია იკითხავს მკითხველი. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ანგორა რუსეთის დღევანდელ უმწეო მდგომარეობას სხვებზე ნაკლებ არ იცნობს, თუ ვინმეს ისარგებლა ნაყოფიერით ბოლშევიკური ავანტიურით, ეს უპირველეს ყოვლისა ქემალ-ფაშის ოსმალეთმა. მან ლონინივით გამოსწერა მოსკოვი, მხოლოდ მისთვის ჯერჯერობით არ დამდგარა მომენტი, როცა მისკენ საბოლოოდ განდგომა ხელსაყრელი იყოს.

*) არის ცნობა, თითქოს საფრანგეთ-რუსეთის კომისიის თავმჯდომარე დემოხინი გადაყენებულ იქნება და ამ საქმის წარმართვას თვით პუანკარე იკისრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა მკითხველმა წინანდელი წერილებიდან იცის, რომ ოსმალეთს მუსულმანებ-ფათს უმზადებს. იტალიის დიქტატორს ნიშანში აქვს ამოღებული ანტაოლიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მერსინა-კონია-დანინს ხაზი. ამ მხრივ მუსოლინი დიდ აქტივობას იჩენს და ქმნის ანტიოსმალურ კოალიციას. ჩვენ მეტს ვიტყვით: ეს კოალიცია თითქოს უკვე შექმნილიც არის. მას იმხრობა ბულგარეთი და საბერძენთი. მაკედონინის რევოლიუციონერი ორგანიზაციებიც (ᲒᲝ.ᲝᲝᲝ შეიარაღებული კაცია) ამ კოალიციაშია მოქცეული. მუსოლინი რომ თავისუფალი ყოფილიყო თავის მოქმედებაში, ჩვენ უკვე ვიქნებოდით მოწმენი ახალი ომის, ახალი სისხლის ღვრის, მაგრამ საბედნიეროთ ეს ჩვენი დროის «ცეზარი» არც ისე თავისუფალია, როგორც მას თავი მოაქვს შავბლუზიანების მატენგებზე. იგი იძულებელია იცადოს, შეარჩიოს დრო, მიიღოს თუ ფორმალური ნებართვა არა, ყოველ შემთხვევაში ფარული ლოცვა-კურთხევა იმისგან, ვინც ზღვაზე ბატონობს. რაპალოს და ლოკარნის შეხვედრები ჩემბერლენთან უბრალო ზრდილობის ვიზიტები არ ყოფილა. ეს იციან ანგორაში და რა გასაკვირველია, რომ ანგორა იქცევა ისე, როგორც ოსმალური თქმულება ასწავლის—კაცი რომ იხრჩობა, გვეწსაც კი აკიდებაო. ჩვენ არ ვიცით როდის გათავდება ეს კაცობრიობისათვის სახიფათო თამაში. დანამდვილებით ვიცით მხოლოდ, რომ რუსეთის დღევანდელი რეჟიმის ლიკვიდაცია იქნება უდიდესი ნაბიჯი მშვიდობიანობის და ერთა სოლიდაროობის გზაზე; მანამ კი ჩვენმა სამხრეთის მეზობელმა უნდა აირჩიოს ორში ერთი; ან უნდა შეეიდეს ერთა ლიგაში, რათა ამ დემოკრატიული გზით თავდან აიცილოს ის საშიშროება, რომელიც მას მოელის, ან უნდა დარჩეს «გველს აკიდებული», რომელიც მას დახრჩობას ვერ გადაარჩენს, შაამს კი სულის ამოხდენამდე არ მოაკლებს. ჩვენ მაინც გვინდა ვიფიქროთ, რომ სადი გონება გაიმარჯვებს ანგორაში და ოსმალეთი სამოლოოთ აირჩევს იმ გზას, რომელიც შეეფერება მის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს.

* * *

სანამ ბოლშევიკები კუკის დახმარებით ცდილობდენ ქვანახშირის გაფიცვის ხელში ალებას და ინგლისში რეფოლიუციის მოწყობას, კონსერვატიულმა მთავრობამ თვით მოახდინა ისეთი «რეფოლიუცია», რომლის მნიშვნელობა, მართლადაც, ისტორიულად უნდა ჩაითვალოს ინგლისის მატიანეში. დღეს ინგლისის იმპერია თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირია პერსონალურ უნიაზე აშენებული. დღეიდან მეფე გიორგი მე-V იღებს სახელწოდებას: «მეფე დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის და დომინიონების». დომინიონებში ინგლისელი გენერალ-გუბერნატორები, რომლებიც აქამდე სიამპერიო მთავრებს წარმოადგენდენ და ადმინისტრაციული ფუნქციებით იყვენ აღჭურვილი, ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ მეფის წარმომადგენლები იქნებიან დომინიონების მთავრობათა წინაშე. უკანასკნელნი ინგლისის მთავრობის დამოუკიდებლათ განაგებენ შინაურ პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკაში მათ ეძლევათ უფლება საკუთარ წარმომადგენლობის უცხოეთში და მეფის საშუალებით ცალკე ხელშეკრულებების დადების. ასეთია დაახლოვებით ის დადგენილება, რომელიც მიიღო სიამპერიო კონფერენციამ.

საგულისხმიერია, რომ ამ უაღრესი მნიშვნელობის აქტის ავტორია კონსერვატიული მთავრობა. ინგლისის იმპერია პრეკედენტებით გაიზარდა და მას დაწერილი კონსტიტუცია არ ჰქონია. მომწიფებულ მოთხოვნილებათა დროზე დაკმაყოფილება, შექმნილ პირობების ანგარიშის გაწევა შეადგენდა და შეადგენს დაუშრეტელ წყაროს ბრიტანეთის ძალიერების და სიცოცხლის ძალის. ინგლისური კონსერვატიზმის პოლიტიკა არ არის «პოლიტიკა ინტერესგარეშის». ტორდ-იუნონენების პირველი სტატეტი კონსერვატორების მიერ იქნა გატარებული. 1867 წ. კონსერვატორებმა გაიყვანა «დიდ რეფორმათა ბილი», რომელმაც მუშების საარჩევნო უფლება აღიარა; კონსერვატორ სოლსბერის პრემიერობის დროს ირლანდიამ რადიკალური ადგილობრივი თვითმართველობა მიიღო; ბალფურმა კი გაატარა იმავე ირლანდიაში მთელი მიწის გამოსყიდვა; დღესაც ოგივე ხდება; თუ კონსერვატიული მთავრობა ამას სჩადის, ეს მოწმობს ამ ხალხის განსაკეთებულ დაღეველობას და სიცხოველეს. ასეთ მეთოდებით ბრიტანეთის იმპერიას კიდევ დიდ ხანს შეეძლია იარსებოს. მაშინ როდესაც ძის მოქიშპეს, რომელიც მხოლოდ უხეშ ძალას და გაუგონარ ტერორს ემყარება, მომავალი არ აქვს.

კამეჩის მრჩოლავ ხარს რქები არ შერჩებოა, იტყვიან ჩვენში და ამას მალეც დავინახავთ.

Გ. Გ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲛᲒᲠᲝᲗ.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲗᲐᲜ—ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲑᲘ ᲐᲫᲐᲮᲡᲚᲘ «ᲣᲠᲐ» ᲓᲐ «ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲘᲛᲘᲗᲘ» ᲨᲘᲜ ᲒᲐᲣᲤᲘᲚᲘ. ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ, ᲯᲘᲜᲘᲡᲨᲘ «ᲩᲔᲩᲘ». ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗᲐ ᲒᲐᲡᲘᲠᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲠᲗᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲪᲐᲣᲤᲝᲗᲐᲜ—ᲐᲘ ᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲣᲤᲝᲗᲐᲜ. ᲨᲘᲤᲘᲠ, ᲩᲙᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲐ ᲐᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲔᲘᲪᲘᲗᲮᲕᲐ, ᲔᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲫᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐᲐ. ᲔᲡᲔᲜᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲐᲡᲐᲑᲔᲜᲔ, ᲝᲡᲜᲘᲜᲘᲪ ᲪᲣᲠᲘᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲘᲐᲡᲑᲔᲜᲔ. ᲩᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲡ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲜᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲡᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲣᲯᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲠᲔᲜᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ «ᲣᲠᲐᲨᲘ» ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲔᲓᲐᲕᲔᲜᲘᲗ. «ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲪᲗᲐᲢᲣᲠᲐ» ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲔᲥᲕᲘᲜᲝᲗᲓᲐ; ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲔᲥᲕᲘᲜᲝᲗᲓᲐ; ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲔᲥᲕᲘᲜᲝᲗᲓᲐ; ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲔᲥᲕᲘᲜᲝᲗᲓᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲣᲯᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲠᲔᲜᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ «ᲠᲘᲩᲘᲗᲐᲜ». ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲠᲐᲗ! ᲐᲡᲘ ᲘᲧᲝᲗ ᲫᲕᲔᲚᲐᲜ, ᲐᲡᲘᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ—ᲛᲐᲚᲔᲡ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲝ ᲩᲕᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲜᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲐ ᲐᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲔᲓᲐᲕᲔᲜᲘᲗ. ᲨᲔᲜᲘ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲩᲐᲡᲐᲑᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐ ᲫᲚᲔᲣᲯᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲠᲔᲜᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ «ᲣᲠᲐᲨᲘ» ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲩᲐᲛᲔᲥᲕᲘᲜᲝᲗᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲣᲤᲝᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲮᲘᲡᲐᲜ ᲘᲗᲘᲮᲔᲑᲐ. ᲔᲗᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲧᲔᲚᲝᲜᲐ, ᲧᲔᲚᲔᲣᲠᲘ ᲐᲛᲐᲚᲝᲜᲐ, ᲛᲣᲪᲔᲚᲔᲑᲗᲔ ᲮᲛᲝᲑᲘᲗ, ᲚᲐᲫᲪᲘᲗ, ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲗᲔ ᲩᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲚᲔᲚᲔᲑᲗᲔ ᲩᲛᲝᲑᲘᲗ.

* * *

ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა. ბევრი ჩვენგანი დასახლებული ვართ ამ წერილებში, როგორც ოპოზიციის წევრები და ჩვენ მართლაც ვეკუთვნით ოპოზიციას, მაგრამ უნდა კატეგორიულათ განვაცხადოთ, რომ მიუხედავათ ხსრთა სხვა და სხვაობისა, რომელიც არსებობს ჩვენსა და აქაურ ორგანიზაციის უმრავლესობის შორის და რომლის მნიშვნელობა ჩვენ სრულიათ არ გვინდა შევამციროთ, ყველანი სრულიად სოლიდარული ვართ სწორეთ იმ საკითხში, რომელიც კომუნისტებს გამოაქვთ დავის ღერძათ: სახელდობრ ბოლშევიკების შეფასებაში.

ბოლშევიზმი ჩვენ ყველას, განურჩევლად მმართველებისა, მიგვაჩნია იმპერიალიზმის და რეაქციის განხორციელებათ. და ეს შეხედულება არის ერთი მთავარი საფუძველთაგანი ჩვენი პარტიის მთლიანობის. განსხვავება ჩვენ შორის იწყება მხოლოდ იმ გზების შეფასებაში, რომლითაც მუშათა კლასს შეუძლია ამ ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა და გამარჯვების მოპოვება.

ამ საკითხში მართლაც არსებობს ორი მიმდინარეობა, რაც გამოხატულია ირ. წერეთლის და ნ. ჟორდანიას წერილებში ცენტრალური კომიტეტის მიმართ.

ეს წერილები ჩეკის წყალობით დღეს გაზეთ «კომუნისტის» განკარგულებაშია და თუმცა მათი სრულათ გამოქვეყნება ხელსაყრელათ არ დაუნახავს, მარა იმ ნაწყვეტებიდანაც, რომელიც მასშია მოთავსებული, ყოველი დაკვირვებული მკითხველი ადვილათ გიგიგებს განსხვავების ნამდვილ ხასიათს და მნიშვნელობას. გიგიგებს ოპოზიციის ძირითად შეხედულებებსაც, რომელიც ირ. წერეთლის წერილებში და ტეზისებშია გამოთქმული და რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ.

ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს არსებითად უფრო ვრცლათ შევეხოთ უთანხმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მუხლებს; ჩვენს შეხედულებებს ამ საგანზე ჩვენ სავსებით განვავითარებთ პარლამენტულ გამოაცემებში.

თავის შეხედულების გასამარჯვებლათ ოპოზიცია იბრძვის პარტიის შიგნით პარტიული გზით და საშუალებებით.

აზრთა ბრძოლა და სხვადასხვაობა ეი დამანგრეველი და მომშლელია მხოლოდ იქ, სადაც გამოცხადებულია აზრის მონოპოლია, როგორც ამას ვხედავთ მოსკოვის კომუნისტიკურ დიქტატურაში. ოპოზიციის გამოს�sა იქ მართლაც არეულებ თვით საფეძველს ბოლშევიკური პარტიის არსებობისას, რომელიც ამ მონოპოლიზეა აგებული.

დემოკრატიულ პარტიაში კი აზრთა სხვადასხვაობა მაჩვენებელია მისი ზრდის, ცხოველმყოფელობის და მის განვითარებას ემსახურება.

ჩვენ გვიწმამს ეს გზა და ცხოველმყოფელობა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის, გვიწმამს ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს მიკუთვნებული ქართველი მუშათა კლასის და მთელი ხალხის განთავისუფლების საქმეში:

ოპოზიციის წრის მონდობილობით: ვ. ტეფეში, ნ. ბარნიფი, რ. ყიფიანი.

პარიზი, 25 აგვისტო 1926 წ.

ᲬᲐᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲜ.

I.

1) ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ. 2) ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ. 3) ᲛᲔᲛᲐᲯᲐᲠᲝᲣᲠᲘ ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘ.

ინგლისის ლიბერალური პარტია თანდათან სუსტდება, ფნება, ისტორიის ბარდება. პარტიამ, რომელსაც ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, უდიდესი როლი უთამაშნია, შედარებით სულ ცოტა ხნის განმავლობაში თვალსაჩინოთ დაპკარგა გავლენა. ლიბერალურ პარტიას დღეს არა თუ სხვა პარტიები აღარ უწევენ სერიოზულ ანგარიშს, არამედ საკუთარ წევრებსაც აღარ სწამთ თავიანთი პარტიის მომავალი და ყველანი განზე იყურებიან. თუ გლადსტონის პარტიას წინეთ განსაზღვრული პოლიტიკურ-სოციალური პროგრამა ჰქონდა, კონსერვატიულ პარტიას უპირდაპირდებოდა, მას მეტოქეობას უწევდა, როგორც სწორი სწორს და სასტიკათ ებრძოდა, დღეკანდელ ლიბერალურ პარტიას თითქმის სრულებით მივიწყებული აქვს თავისი წარსული და ძლიერ ზმირათ კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიების საქმიანობის შორის დღეს დიდ განსხვავებას აღარ აქვს ადგილი. ინგლისის ლიბერალური პარტია პროგრესიული იყო მანამ, სანამ ის პროგრესიული ბურჟუაზიის ინტერესებს წარმოადგენდა. მაგრამ სოციალურ კონფლიქტების და კლასთა ბრძოლის გაღრმავების შემდეგ ინგლისში ბურჟუაზია თანდათან კონსერვატიულ ბანაკისაკენ მიეკანება. 1924 წლის არჩევნები კატასტროფიული იყო ლიბერალებისათვის არა მხოლოთ მით, რომ მათ 116 მანდატი დაკკარგეს და 157 მაგიერ მხოლოთ 41 დეპუტატი გაიყვანეს, არამედ იმითაც, რომ ლიბერალები დამარცხდენ დიდ სამრეწველო ცენტრებში, როგორიცაა მანჩესტერი და სხ. ლიბერალურ პარტიას ჩამოსცილდა ისეთი მოდვაწეები, როგორც მაკ-კენნა—ინგლისის უდიდესი ბანკირი და სიტის ნამდვილი მბრძანებელი; ალფრედ მონდი—ინგლისის მრეწველობის გამოჩენილი წარმომადგენელი და ხალკან ოინეი—ინგლისის «საქმიან ხალხში» მეტად ცნობილი პირი. ლიბერალურმა პარტიამ დაკკარგა თავისი სოციალური ბაზა და დღეს ის გაურკვეველი პროგრამის და პოლიტიკის წყალობით რღვევის და მერყეობის ხანაში იმყოფება. თანდათან იშლება სახლვარი მარჯვენთ ლიბერალური პარტიის და კონსერვატორების შორის. მაგრამ ლიბერალურ პარტიაში შედის აგრეთვე წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებიც, რომლებიც დღეშდე მსხვილ-ბურჟუაზიის ჰეგემონიას ემორჩილებოდენ. პარტია დღეს წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარ კონგლომერატს, რომლის ნაწილები სულ სხვადასხვა მიმართულებით მიისწრაფიან. როცა შარშან იანვარში ლოიდ ჯორჯი გამოვიდა რადიკალური აგრარული პროგრამით, მას პარტიის მარჯვენა ფრთამ ისეთი სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, რომ უცბათ პარტია განხეთქილების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და ლოიდ-ჯორჯის პარტიიდან გარიცხვაზედაც კი დაიწყეს ლაპარაკი. ასეთსავე დიდ უთანხმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ჰქონდა წელს ადგილი ლიბერალურ პარტიაში საყოველთაო გაფიცვის დროს, როცა ლოიდ ჯორჯი მორიგების და კომპრომისის წინადადებით გამოდიოდა და მთავრობას სასტიკად აკრიტიკებდა. ლიბერალური პარტიის მემარჯვენე ლიდერები— ასკვიტი, ლოიდ გრეი, სიმონსი და სხ.—მთავრობის პოლიტიკას საყოველთაო გაფიცვის საკითხში სავსებით მხარს უჭერდნენ, ლოიდ ჯორჯის გამოსვლებს დეზავუაციას უკეთებდნენ, გაფიცვას არალეგალურად აცხადებდნენ და გაფიცულების სამართალში მიცემასაც კი მოითხოვდენ. ასკვიტის მკაცრი წერილი ლოიდ ჯორჯისადმი გაფიცვის შესახებ არსებითათ შეიცავდა წინადადებას. რომ ლოიდ ჯორჯს ლიბერალური პარტია დაეტოვებინა. მაგრამ ასკვიტი, რომელმაც ეს წერილი ლოიდ ჯორჯს გრეის, სიმონსის და სხვა მახლობელ მეგობართა რჩევით მისწერა, სასტიკად მოსტყუდა. ლიბერალურ პარტიის წერილ-ბუღუეუბიულ ელემენტების თანაგრძნობა ინგლისის საზოგადოებრივ აზრთან ერთათ მემაღაროების მხარეზე აღმოჩნდა. პარტიის მასა გაჰყვა ლოიდ ჯორჯს, ასკვიტთან დარჩა მხოლოთ ლიდერების ჯგუფი. დაბოლოს ასკვიტმა პარტიის ლიდერობას თავი მიანება. მაგრამ ამით ლიბერალური პარტიის არსებობის და პოლიტიკის საკითხი არ ამოწურულა და არ გადაწყვეტილა. ლიბერალური პარტია დღესაც იმავე გაურკვეველ და მერყეე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც გუშინ.

როგორც ზევით ვამბობდით, მემარჯვენე ლიბერალები კონსერვატორებს ბევრ რამეში უახლოვდებიან და ამ ბოლო ხანებში ხშირათ ამათ ეკედლებიან. მეორე მხრივ ლიბერალური პარტიის რადიკალური ელემენტები, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუვიწყნიათ თავიანთი პრინციპები, მეტათ უკმაყოფილნი იყვნენ კონსერვატორებს და ლიბერალებს შორის ბლოკით ამ სამი უკანასკნელ არჩევნების დროს. თან მათ ძლიერ მოაბეზრა თავი ლიდერთა შორის კინკლაობამ და ინტრიგებმა. გასაგებია, რომ ლიბერალური პარტიის მასა, უკმაყოფილო იმით, რომ პარტიას არ აქვს ნათელი და გარკვეული პოლიტიკა და პროგრამა, მუშათა პარტიისაკენ იკქრიება და ამ უკანასკნელის რიგებში არა ერთი და ორი ლიბერალი გადადის დღეს.

მიუხედავად ყველა ამისა ლიბერალურ აზროვნებას ინგლისში ჯერ კიდევ ფართე გასავალი აქვს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს ლიბერალურმა პარტიამ სამ მილიონ ნახევრამდე ხმა მიიღო. რა თქმა უნდა, არ არის მოსალოდნელი, რომ ლიბერალურმა პარტიამ დაიბრუნოს ის ძალა და გავლენა, რომელიც მას წარსულში ჰქონდა. მაგრამ თუ ლიბერალური პარტია გაიწმინდა კონსერვატიულ ელემენტებისაგან, მიიღო უფრო რადიკალური პროგრამა და აწარმოეა ნათელი და გარკვეული პოლიტიკა, მას კიდევ შეეძლია გაბნეულ ძალებს თავი მოუყაროს, ორგანიზაციულათ დარაზმოს ისინი და ერთი ხნით კიდევ ითამაშოს როლი ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, მეორე მხრით, ლოიდ ჯორჯმა გაუშვა მოხერხებული მომენტი. როცა მს ასკვიტთან კონფლიქტი ჰქონდა. მან ვერ გამოიყენა ეს კონფლიქტი პარტიის სასარგებლოთ. იმ დროს მას ქონდა საუკეთესო შემთხვევა პარტიის მემარჯვენე ელემენტების სრული იზოლიაცია მოეხდინა და მათგან პარტია გაეწმინდა. ლიბერალური პარტიის უმრავლესობა ამ შემთხვევაში უთუოთ მის მხარეზე იქნებოდა. ლოიდ ჯორჯმა ეს ვერ გაბედა, არჩია მემარჯვენე ელემენტებთან მორიგება და კომპრომისი, რაც პარტიას წინანდებურათ რღვევის და მერყეობის პროცესში სტოვებს. საერთოთ, ლოიდ ჯორჯი არ ითვლება კარგ ხელმძღვანელათ. ის არასოდეს ყოფილა წინეთ ლიბერალური პარტიის ოფიციალური ლიდერი. ამ უთუოთ დიდი ნიჭის პატრონ პოლიტიკოსს, აკლია ის ზოგი დიდი თვისებები, რაც ასე აუცილებელია პარტიის ნამდვილ ლიდერისათვის. მას არ შეუძლია კოლეგიალური მუშაობა, ის ნაკლებათ უწევს ანგარიშს სხვის აზრს. თავის საკუთარ აზრს და პოლიტიკას კი დიდი ხნით ვერ შერჩება, მისი პოლიტიკა მეტათ ცვალებადია. არავინ იცის, თუ ხვალ ლოიდ ჯორჯის ტაქტიკა როგორი იქნება. ამიტომ ის პოლიტიკაში ნაკლებად სანდოა, ძნელი დასაყრდნობია. ერთი რომელიმე საკითხის გამო მისი გამოსვლა ხშირათ შეუდარებელია. მის ცეცხლით აღსავსე, მახვილ მჭერმეტყველობას შეუძლია მიიპყროს მთელი პარლამენტის და საზოგადოების ყურადღება. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც ის უფრო პარტიის ორატორია, ვინემ ლიდერი და ბეის მიჰვენებელი.

ამ ბოლო ხანებში, როგორც ეჭაურ, ისე სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში ხმები იყო გავრცელებული, ვითომ ლოიდ ჯორჯს მაკდონალდთან, სნოუდენთან, თომასთან და სხვებთან ლაპარაკი ჰქონდეს მუშათა პარტიაში გადასვლის შესახებ. მუშათა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პარტიის და მის ლიდერების ოფიციალური განცხადებებიდან გამოირკვა შემდეგ, რომ არაფითარ ასეთ მოლაპარაკებას ადგილი არ ჰქონია და ყველაფერი ეს კომუნისტების მიერ გამოგონილი ჭოტები იყო მუშათა პარტიის ხელმძღვანელების სახელის გასატეხად. ლიიდ ჯორჯი მეტად გამოცდილი პოლიტიკოსია, რომ არ იცოდეს, თუ რა მოყვებოდა შედეგად ასეთ ბის ნაბიჯს. ლიიდ ჯორჯის მუშათა პარტიაში გადასვლით ლიბერალური პარტია მემარჯვენე ფრთის მემარჯვენე ლიდერებს ჩაუვარდებოდა ხელში. რაც მას კიდევ უფრო დაუფასოვებდა კონსერვატორებს. თვით მუშათა პარტიაშიდაც ლიიდ ჯორჯის ასეთი ნაბიჯი დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ომის დროს და ომის შემდეგ ლიიდ ჯორჯის კონსერვატორებთან კოალიციაში ყოფნა და მისი მაშინდელი პოლიტიკა სულ ახლო წარსულს ეკუთვნის და მუშებს ეს არ აქვთ დავიწყებული. მუშათა პარტია ლიიდ ჯორჯს არ ენდობა და მისი სასტიკი წინააღმდეგია.

ზოგიერთ პოლიტიკოსების აზრით ლიბერალურ პარტიას კიდევ აქვს დრო მოიკრიბოს ძალები, გამოასწოროს შეცდომები და დაუბრუნდეს ძველ ტრადიციებს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლება მას ითამაშოს ერთნაირი როლი ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრების წონასწორობისათვის. თუ მან ეს ვერ შესძლო, ინგლისი დღევანდელ სამი პარტიის მაგივრათ, კვლავ დაუბრუნდება ორი პარტიის სისტემას, ბრძოლა ძალაუფლებისათვის უმთავრესათ კონსერვატორების და მუშათა პარტიის შორის გაჩაღდება, ხოლო ლიბერალური პარტია საბოლოოთ ჩაბარდება ისტორიას.

რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, თავის 6-7 ათასი წევრით ის ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს არაფითარ როლს არ თამაშობს. პარლამენტში მას მხოლოთ ერთი დეპუტატი ჰყავს, ისიც უკანასკნელი არჩევნების დროს დეპუტატათ მუშათა პარტიის დროშის ქვეშ გავიდა და თავისი თავი კომუნისტათ მხოლოთ შემდეგ გამოაცხადა.

* * *

უდიდეს ეკონომიურ კრიზისის და ბრძოლის ხანაში მოხდა ინგლისში კომუნალური არჩევნები (1 და 2 ნოემბერს). ინგლისის ამრჩეველებმა ამ არჩევნებში თავისი აზრი გამოიტანეს არა მარტო ადგილობრივ თვითმართველობათა პოლიტიკის, არამედ აგრეთვე იმ უმაგალითო ეკონომიური კონფლიქტის შესახებ, რომელიც ეს მეშვიდე თვეა გრძელდება.

მუშათა პარტიის გამარჯვებამ ყოველივე ოპტიმისტურ მოლოდინს გადააჭარბა. მან პირველად მოიპოვა უმრავლესობა ისეთ დიდ ინდუსტრიულ ქალაქში, როგორიცაა შეფილდი, აგრეთვე სმეთერვიგში—ბირმინგამის ახლო. თვით ბირმინგამში, რომელიც აქამდე შეადგენდა კონსერვატორების სიმაგრეს და იმყოფება პოლიტიკურად ჩემბერლენის ოჯახის გავლენის ქვეშ, მუშათა პარტიამ მოიგო 8 მანდატი, მანჩესტერში 7, ლივერპულში და ბოლტონში 6, ლეიჩესტერში და ნოტინგამში 5 და სხვა. ამნაირად ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა მას ჩრდილო და შუა-ინგლისის უდიდეს ქალაქებში, განსაკუთრებით ქვანახშირის მხარეებში. აღსანიშნავია, რომ ეს არჩევნები არ ეხებოდა ლონდონს, საცა თვითმართველობა ახლდება ყოველ 3 წელიწადში. არჩევნების შედეგები შოტლანდიაში საგსებით ეთანაბრება მუშათა პარტიის საერთო გამარჯვებას; გლაზგოვში მან 8 მანდატი მოიგო, ასე რომ ბურჟუაზიულ პარტიების 63 ხმოსანს აქ უპირდაპირდება 50 მუშათა ხმოსანი. აგრეთვე ედინბურგში პარტიამ დაიპყრო 8 ახალი მანდატი.

საერთოდ მთელს ინგლისში და შოტლანდიაში მუშათა პარტიამ გასული წლის არჩევნებთან შედარებით მოიგო 206 მანდატი. ყველა სხვა პარტიები დაზიანებული გამოვიდენ ბრძოლიდან.

შედარებით თავის წინანდელ ძალასთან და რიცხვთან ლიბერალურმა პარტიამ დიდი დამარცხება განიცადა ამ არჩევნებში. ეს არც არაფის გაკვირვებია. თუ ლიბერალურ პარტიის არსებობას საშინშრეთა მოელის ნაციონალური პოლიტიკის ფარგლებში, ადგილობრივ თვითმართველობებში, ადგილობრივი კითხვების მოგვარებაში ხომ კიდევ უფრო ნაკლები ადგილია მესამე პარტიისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებში ლიბერალური პარტიის რადიკალური ელემენტები ხშირად მუშათა პარტიას აძლევდნენ ხმას, მემარჯვენე ლიბერალები კი კონსერვატორებს, ან და ამათთან ერთათ აშკარა კოალიციაში გამოდიოდნენ მუშების წინააღმდეგ.

ამ არჩევნების დროს მუშათა პარტიამ აამუშავა მთელი თავისი ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უდიდესი ენერგიით აწარმოვა პროპაგანდა მისი დემოკრატიული პროგრამების გასაშემა. ხალხიც თანაგრძნობით ხვდებოდა მის შეხედულებას სწავლა-განათლების, ბინის, ადგილობრივი გადასახადების და სხ. საკითხებზე. არჩევნებზე უთუოთ დიდი გავლენა იქონია აგრეთვე მემადაროეთა ლოკაუტის და ნახშირის კრიზისის საკითხმა. ამას წინათ თვით ლორდ ჯეესსელი (კონსერვატორი) აცხადებდა—თუმცა ეხლანდელ მუნიციპალურ არჩევნებში ადგილობრივი საკითხები სათანადო როლს თამაშობდნენ, მაგრამ უმთავრესი გავლენა მაინც უმუშევრობის და ნახშირის კრიზისის საკითხებმა იქონიესო.

როგორც მთელი ინგლისის მუშათა კლასი, ისე საშუალო კლასებიც მტკაო უკმაყოფილო არიან კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკით ქვანახშირის კრიზისში. ამჩევნელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, რომ თვეების განმავლობაში მთავრობა ყოყმანობდა, ხან ერთიდა კონფლიქტის მოსაგვარებლათ, ხან უკან იხევდა, ხან ერთი წინადადება შეაჭქნდა, ხან მეორე. უშვებდა აგრეთვე შემოხვევებს კრიზისის დასამთავრებათ. ამ დროს განმავლობაში კი აუარებელი ნაციონალური სიმდიდრე იკარგებოდა და მთელი ქვეყნის წარმოება უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა. თან მცხ ოვრებთა დიდი ნაწილი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო კონსერვატორების დამარცხებას.

კომენსისტურ პარტიის ეროვნულ არჩევნებში არაფერი ისმოდა, ის არსად ჩანდა. ადგილობრივ თვითმართველობებში მას არავითარი გავლენა და არც წონა არ აქვს.

* * *

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ტრადუნიონების გენერალურ საბჭოს ინიციატივით განასლდა მთავრობასთან მოლაპარაკება ნახშირის ინდუსტრიის კრიზისის და მეპატრონეთა და მემადაროეთა შორის არსებულ მწვავე კონფლიქტის შესახებ. 26 ოქტომბერს პიუი, თომასი, სტერინი და სხვები გენერალურ საბჭოს სახელით მოითხოვდნენ მთავრობისაგან, რომ კონფლიქტი მოგვარებულ ყოფილიყო ნაციონალური მასშტაბით და მოლაპარაკების ბაზათ სამეელის მოხსენება ყოფილიყო მიღებული. მკითხველს ემახსოვნება, რომ ჰერბერტი მთავრობის «ნახშირის კომისიის» სამეელის თავმჯდომარე იყო. მან საყოველთაო გაფიცვის დღეებში გენერალურ საბჭოს გადასცა მემორანდუმი, რომლის აზრით მემადაროეთა ლოკაუტი უნდა მოხსნილიყო და მეპატრონეთა ლოკაუტიც. ხელფასის შემოკლების საკითხი დაისმოდა მხოლოთ მის დეტალურად და ყოველ მხრივ გამოკვლევის შემდეგ და როცა წარმოების რეორგანიზაციისათვის საკმაო გარანტია იქნებოდა მოცემული. შეთანხმება ნაციონალური მასშტაბით უნდა მომზდარიყო. ეს მემორანდუმი მაშინ მემადაროეთა ფედერაციის ეკზეკუტივმა ; არ მიიღო და მით ბრძოლა გაგრძელდა.

ეხლა, გენერალურ საბჭოს და ფედერაციის ეკზეკუტივის შორის თათბირის შემდეგ, მოლაპარაკება უშუალოთ მთავრობასა და ფედერაციის შორის გაიმართა. დაბოლოს, 12 ნოემბერს, მთავრობამ ფედერაციის ეკზეკუტივს გადასცა თავის წინადადებები. ამ წინადადებების აზრით შეთანხმება მეპატრონეთა და მემადაროეთა შორის უნდა მოხდეს ადგილობრივად და არა ნაციონალური მასშტაბით. ლოკაუტამდი არსებული ხელფასი დროებით მხოლოთ ზოგ რაიონებში დარჩება, სხვებში კი შეიცვლება ადგილობრივი შეთანხმებების მიხედვით. გაზრახულია ნაციონალური სამეფიატორო ტრიბუნალის დაარსება. მაგრამ ამ ტრიბუნალს არ ექნება უფლება მსჯველობა იქონიოს სამუშაო დღის სიდიდეზე. მემადაროეთა დელეგატების კონფერენციამ მთავრობის ეს წინადადებები რაიონულ ორგანიზაციებს გადაუგზავნა რჩევით, რომ მათ ისინი მიეღოთ. 19 ნოემბერს გამოიარკვა, რომ მთავრობის წინადადების მომხრე ადგილობრივთან აღმოჩნდა 313.200 კაცი, წინააღმდეგი კი 460.806. ამნაირი წინადადებები უარყოფილ იქნა 147.608 ხმის უმრავლესობით. ეს ენერგია ცენტრის, რის შემდეგ დელეგატთა კონფერენციამ 502.000 ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება, რომლითაც ის ურჩევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ეხლავე გამართონ მოლაპარაკება მეპატრონეებთან თავიანთ რაიონებში შეთანხმების მისაღწევად. ამასთანავე კონფერენცია წინადადებას აძლევს ფედერაციის ეკზეკუტივივ შეიმუშაოს ის საერთო პრინციპები, რომლითაც ადგილობრივი ორგანიზაციები ისელმძღვანელებენ მეპატრონეებთან მოლაპარაკების დროს. თვიდეული რაიონი მეპატრონეებს მხოლოთ მას შემდეგ შეუთანხმდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყველა რაიონების მოხსენებები იქნება მოსმენილი და განხილული მემადაროვნეთა მორიგი ნაციონალური კონფერენციის მიერ. მემადროვეთა დელეგატების კონფერენცია იძულებული გახდა ადგილობრივად პირდაპირ მეპატრონეებთან გაეგმართა მოლაპარაკება, ხალმსა ამდენი ხნის შიმშილობა ვეღარ აიტანა. ფედერაციის უდიდესი ცდა ეხლა ის არის, რომ მან ადგილობრივ მოლაპარაკებებს უფელმძღვანელოს, მეპატრონეებთან რაც შეიძლება უკეთეს პირობებში მოახდინოს შეთანხმება და ფედერაცია დარდვევინაგან გადაარჩინოს.

ლონდონი, 20 ნოემბერი 1926 წ.

ბ.

ეპისკოპოსთა შეშფოთება

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მოხდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრ. კომიტეტის და პროვინციელ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ე. წ. ნაციონალურ სამეფოს სხდომა, რომელშაც გამოიტანა დადგენილება ფრიად მნიშვნელოვან კითხვებზე, როგორიცაა მომავალი მორიგი არჩევნები სენატის შემადგენლობის მესამედისის და ე. წ. «პოლ ბონკურის ოსკმე» ე. ი. პარტიის დამოკიდებულება საფრანგეთის წარმომადგენლობასთან ერთა ლიგაში.

მთავარი საკითხი სენატის მომავალ საარჩევნო კამპანიაში არის დამოკიდებულება სხვა პარტიებთან. ცნობილია, რომ საფრანგეთის სენატის შემადგენლობა ირჩევა არა საყოველთაო ხმის მიცემით, არამედ სპეციალური საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელიც შესდგება მომეტებულად ადგილობრივ თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან. საფრანგეთის პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელიც დღეს უმრავლესობას შეადგენს, ფიქრობს, რომ ამ არჩევნებში პარტიამ სავსებით უნდა დაიცვას თავისი დოქტრინის და ტაქტიკის დამოუკიდებლობა. რისთვისაც უნდა წამოაყენოს ყველა საარჩევნო ოლქებში დამოუკიდებელი, საკუთარი სია კანდიდატებისა, თუ გინდ ამ ტაქტიკამ გამარჯვების საშვალება მისცეს რეაქციონურ-ბურჟუაზიულ პარტიებს, ე. წ. ნაციონალურ ბლოკს. მხოლოდ იმ ოლქებში, სადაც ადგილი ექნება ხელახალი კენჭის ყრას (პერეგალოტირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წია ფრანკის გამოსწორების პოლიტიკაში. მაგრამ გამოსწორებას თან სდევს საერთაშორისო ფასებისა და ცხოვრების ვაძვირება. უეჭველია პუანკარეს ფინანსიური პოლიტიკას, რომელიც ძირითადად განსხვავდება სოციალისტური პარტიის საფინანსო პროგრამისაგან (იმ პროგრამაში კარტელის არსებობის ბრალ ემრობოდა აგრეთვე, მთავარ დებულებებში მაინც, რადიკალური პარტიის უმრავლესობა). თან სდევს მრეწველობის კრიზისი, რომელსაც თანდათან ამწვავებს ფრანკის რეკალორიზაცია და ძნელია ამ კრიზისის მძიმე შედეგების გათვალისწინება. ჭვეყნის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა შეადგენს დღეს პოლიტიკის მთავარ ღერძს. ვინც ამ საკითხში ჩვენთან არაა—დაასკვნა ბლიუმმა—ის ჩვენ წინააღმდეგაა. აი ამ საკითხის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, ბლიუმის ბჭრით, პარტიის დამოკიდებულება სენატის მომავალი არჩევნებისადმი.

ცხარე კამათის შემდეგ ნაციონალურმა საბჭომ 2045 მანდატით 960-ის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება., რომელიც ავალებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს წამოაყენონ პირველადელ არჩევნებში საკუთარი, სრული სიები და სავსებით დაიცვან პირველ არჩევნებში პარტიის სრული დამოუკიდებლობა; ხოლო ხელახალ არჩევნებში, სადაც ამას ადგილი ექნება, ორგანიზაციებს ნება ეძლევათ შეადგინონ დემოკრატიულ პარტიებთან ერთად საერთო სიები. ამ შემთხვევაში დაკავშრება დასაშვებია მემარცხნე პარტიების მხოლოდ იმ წევრებთან, რომლებიც წარსულში შორს იდგენ ნაციონალური ბლოკისაგან, მოამრე არიან კოალიციის უფლების და 8 საათის სამუშაო დღის და როგორც საშინაო, ისე საგარეო საფრეზში გადაჭრილ დემოკრატიულ პოლიტიკას ადგანან.

იყო თითო-ოროლა წევრი საბჭოსი, რომელიც მოითხოვდა არჩევნებში კომუნისტებთან კოალიციის, რაიც საბჭომ გადაჭრით უარყო.

მკითხველმა იცის ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებიდან, თუ როგორ წარმოიშვა ე. წ. «პოლ ბონკურის საქმე». სოც. მუშ. ინტერნაციონალის აღმასრ. კომიტეტის დადგენილების შემდეგ საკითხი დაუბრუნდა გადასაჭრელად თვითეულ პარტიას ადგილობრივ პირობების მიხედვით. კამათს ამ კითხვაზე საფრანგეთის პარტიის ნაციონ. საბჭოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თვით პოლ ბონკურმა ქქონდა სრულიად ამხანაგური ხასიათი. ჩვენ არ გავიმეორებთ ჩვენს ჟურნალში უკვე მოყვანილ მოსაზრებებს რამოდენიმე მემარცხნე ფრანგ სოციალისტებისას, რომლებიც მოითხოვდენ უარი ეთქვა პოლ ბონკურს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლობაზე ერთი ლიგაში. თვით პოლ ბონკურმა აღნიშნა სოციალისტ დელეგატების მუშაობა და გავლენა ერთა ლიგაში, სადაც ის განიარაღების საკითხში მოქმედებს სრული თანხმობით სხვა ქვეყნების სოციალისტურ დელეგატებთან. ფრანგ სოციალისტის გადადგომა იმ დროს, როცა გერმანელი და სხვა ქვეყნის სოციალისტები განაგრძობენ ლიგაში თანამშრომლობას, შობეშედილებას შექმნიდა, თითქოს საფრანგეთი აპირებდეს აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების ინტერესებს. ეროთა ლიგა ვერსალის ზავის მეორე დღეს იყო მხოლოდ გამარჯვებული ქვეყნების ორგანიზაცია. ჩვენ არ შეგვიძლია ზურგი ვაქციოთ მას სწორედ მაშინ, როცა ის გერმანიის დაშვების შემდეგ ზღვის ნამდვილ საერთაშორისო ორგანოო.

ნაციონალურ სიბჭოს დიდი უმრავლესობა მიეშართა პოლ ბონკურის აზრს, დაადასტურა მისი მანდატი და დაავალა მას დროგამოშვებით ანგარიში აძლიოს პარტიას თავის მუშაობაზე და იმ დაბრკოლებებზე, რომელიც შეიძლება მას ამ მუშაობაში მეხვდეს.

ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა მომავალი წლის იანვრიდან განაახლოს თავისი ყოველდღიური ცენტრალური ორგანოს «პოპულერ»-ის გამოცემა პარიზში.

გერმანიის კომპარტიაში.

ეკვირა არ გაიღვლის, რომ სტალინის პასსიონერებმა, რომლებიც დღეს გერმანიის კომპარტიას სთავევენ უგანან, რამოდენიმე კაცი არ გამორიცხონ პარტიიდან. უკანასკნელი თვის განმავლობაში გამორიცხულთა თუ თავის ნებით გასულთა გრძელ სიას მიემატა 15-20 გარიცხული და გადაყენებული. აღვნიშნოთ მათ შორის 3 რეიხსტაგის დეპუტატი—ურბანსი, ბოლემი და შვაბი; სამივე გამოცხადებული არიან მუშათა კლასის მოღალატეებად და სხვადასხვა. ამათ გარიცხვის შემდეგ რეიხსტაგის კომუნისტურ ფრაქციის განდგომილ დეპუტატთა რიცხვი უდრის ცხრას, რაც ამ დეპუტატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პირვანდელ საერთო რიცხვზე (45) შედგენს ერთ მეხუთედს. მათ შეუძლიათ უკვე მთელი საპარლამენტო ფრაქციის დაარსება, მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში, უნდა ვიმედოვნოთ, კიდევ გაიზრდება რამოდენიმე დეპუტატი, რომელთაც გერმანული პოლიტიბიური უკვე ალმაცერათ უყურებს ოპოზიციასთან კავშირისათვის.

საინტერესოა, რომ გარიცხვის დასაბუთება თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს მოსკოვის მიერ ასეთ შემთხვევაში მიღებულ ეარგონს: «პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის», «პარტიის საწინააღმდეგო ფრაქციულ მასალის გავრცელებისათვის», «პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის» და სხვადასხვა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, გერმანული პოლიტბიუროს ორიგინალობაც: ზშირად გარიცხვის დასაბუთებაში ვკითხულობთ: «პარტიის მტრებთან კავშირისათვის». არ იფიქროთ, თითქოს აქ იგულისხმებოდეს ბურჟუაზიულ ან სოციალისტური წრეებთან კავშირი; ბერლინელ პოლიტბიუროს სახეში აქვს კავშირი პარტიის გარეშე მყოფ კომუნისტურ ოპოზიციასთან, რომელიც ყოველდღიურათ იზრდება პარტიის შეძდგენლობის ხარჯზე და მისთვის დღეს უსაშინელეს მტერს წარმოადგენს.

ავსტრიის სოც.-დემოკრატიის წლიური კონგრესი.

30 ოქტომბერს შეიკრიბა ქ. ლინცში და გაგრძელდა 3 ნოემბრამდე ავსტრიის სოც.-დემოკრატიის წლიური კონგრესი.

ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშიდან სჩანს, რომ პარტიის ზრდა შეუჩერებელია გრძელდება. უკანასკნელი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაზრდილა 576 ათასიდან 592 ათასამდე. ამათში ირიცხება 170.400 ქალი. მამაკაცთა რიცხვს მოუმატია 2,64 პროცენტით, ხოლო ქალთა რიცხვს 3,26 პროცენტით. ვენაში ირიცხება 324.525 პარტიის წევრი, ე. ი. ავსტრიის დედა-ქალაქის მთელი მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით ერთი.მეოთხედი შედის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

წარვანდელი კონგრესის მთავარ საგანს შედგენდა ახალი პროგრამის პროექტის განხილვა და მიღება. დებატების პროგრამის პროექტის შესახებ გაყოფილ იქნა ორ ნაწილად: ცალკე იქნა გარჩეული პროგრამის თეორიული და ზოგადი ნაწილი; აქ განსაკუთრებით საინტერესო იყო კამათი სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შესახებ; დისკუსიის მეორე ნაწილი მოხმარდა პროგრამის სადღეისო მოთხოვნილებებს. დებატებს ხელმძღვანელობდა ავსტრიის სოც.-დემოკრატიის თეორეტიკოსი, აღნიშნულ პროგრამის პროექტის ავტორი—ოტო ბაუერი. კონგრესმა აირჩია 20 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც ზოგიერთი შესწორებები შეიტანა პროექტში. კონგრესმა თავის უკანასკნელ სხდომაზე, რომელსაც ოტო ბაუერმა მოახსენა კომისიის მუშაობის შედეგები, ერთხმად მიიღო პროგრამა კომისიის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებით. *)

დანნებერგის მოხსენებით კონგრესმა მიიღო დადგენილება ავსტრიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და შეიტანა ცვლილებები პარტიის წესდებაში. ამ ცვლილებების თანახმად ცენტრალური კომიტეტი შესდგება 30 წევრისაგან, რომელთაგან 10 არის საკონტროლო კომისიის წევრი და წარმოადგენს პროვინციას, ხოლო დანარჩენი ოცი შეადგენენ ცენტრალურ კომიტეტს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და უნდა ცხოვრობდენ ვენაში.

არგენტინის სოციალისტურ პარტიაში.

ამა წლის გასულ აგვისტოში შესდგა არგენტინის სოციალისტური პარტიის მე-18 კონგრესი, რომელმაც საინტერესო ცვლილება შეიტანა პარტიის წესდებაში. ამ ცვლილების ძალით პარტიულმა ორგანიზაციებმა, მორიგ კონგრესის დახურვის შემდეგ 15 დღის განმავლობაში უნდა მოიწვიონ საგანგებო სხდომა პარტიის ცენტრალური ორგანოებში ასარჩევ კანდიდატების დასასახელებლათ. კანდიდატების დასახელების შედეგები ეცნობება ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მას პარტიულ ორგანოში აქვეყნებს. მიღებულ შედეგების მიხედვით სდგება უფრო ვიწრო სია კანდიდატებისა, რომელსაც ხმას აძლევს თვითეული პარტიულ გადასახადის გადამხდელი წევრი.

*) «ბრძოლის» მკითხველს შეძლება ექნება გაეცნოს შემდეგ ნომერში როგორც პროგრამის მთავარ დებულებებს, აგრეთვე მათ დაფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ კონგრესის შემდეგ ამ წესით იქნა არჩეული პარტიის ახალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და პრესის კომისია. ხმის მიცემის უფლება ჰქონდა 7.000 კაცს; ამათგან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 5.333 კაცმა. ხმების უდიდესი რიცხვი, რომელიც ერთ კანდიდატთაგან ხვდა, იყო 4.339. არჩეულთაგან ხმების უმცირესი რიცხვის მიმღებს ხვდა 3.605 ხმა.

იუგოსლავიის მუშათა მოძრაობა და ბოლშევიზმი.

ჰერმან ვენდელი იძლევა «ფოროვერსტში» მეტად საინტერესო ცნობებს იუგოსლავიაში მუშათა მოძრაობის ისტორიის და აგრეთვე იმ რეაქციონური როლის შესახებ, რომელიც ითამაშა ამ მოძრაობაში მოსკოვმა.

ომამდე იმ პროვინციებში, რომლებიც სერბების, კროატების და სლოვენების აწინდელ გაერთიანებულ სახელმწიფოს შეადგენენ, მუშათა ორგანიზაციები—ამ მომცეტებულად აგრარიულ მხარეებში არ იყო მრავალრიცხოვანი. სამაგიეროდ მათ ახასიათებდა შინაგანი მთლიანობა და სიმტკიცე. ყველა ამ მხარეებში 1913 წელს ითვლებოდა 24.515 პროფესიონალურად შეკავშირებული მუშა. ეროვნულმა გაერთიანებამ 1918 წელს გამოიწვია მუშათა მოძრაობის ძლაერი და ა სწრაფი ზრდა, რაიც სხვათა შორის ახასიათებდა ომის მიმყოლ წლებში თითქმის ყველა ქვეყნების მუშათა მოძრაობას. 1920 წელს პროფესიონალურად შეკავშირებულ მუშათა რიცხვი უდრიდა 200 ათასს, რაც შეადგენს მთელი იქაური პროლეტარიატის მეხუთედს (იუგოსლავიაში ითვლება: ინდუსტრიაში 600 ათასი მუშა, სასოფლო მეურნეობაში 300 ათასი, მაღაროთა და ტრანსპორტის მუშები, 100 ათასი).

მაგრამ ცნობილია, რომ მოსკოვი განსაკუთრებული წყალობის თვალით უყურებდა და უყურებს ბალკანეთის ქვეყნებს, საცა არავდარეკის გამოწვევა გაუადილებდა მას ანარქიის და ომის ცეცხლი დაენთო მთელს ევროპაში, და შეიძლება რუსეთს არსად იმოდენა ოქროს მანეთი არ ჩაუყრია და იმდენი აგიტატორები არ მოუვლენია, რამდენიც ბალკანეთის ქვეყნებში და კერძოდ იუგოსლავიაში. მათ მიაღწიეს სერბიის სოც.-დემ. პარტიაში მემპრაცნე ფრთის გაძლიერებას და 1920 წელს კი გათიშვას ამ პარტიაში. რამაც საბედისწერო როლი ითამაშა ქვეყნის მთელი მუშათა მოძრაობისათვის. აქ განმეორდა სასაცილო და თანაც საგალალო ამბავი, რასაც ადგილი ჰქონდა ბევრ სხვა ჩამორჩენილ ქვეყნებში: თითქმის საშვალო საუკუნეების პირობებში მცხოვრები უკულტურო პროვინციები იძლეოდენ მთავარ კადრებს «კლასიურად შეგნებულ» კომუნისტებისას. ს. დ. პარტიასთან ერთად დაიმსხვრა აგრეთვე ეროფესიული მუშათა მოძრაობა, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო კომუნისტურ-ტეროროსტულ აქტების საპასუხოთ გამოცემულმა განსაკუთრებულმა კანონმა. აქაც გაიმართა მოსკოვის ხელშძღვანელობით ბრძოლა ამსტერდამის წინააღმდეგ და პროფკავშირებში შფოლის და უთანხმოების გაძლიერებამ გამოიწვია მუშების გულის გატეხა და კავშირებიდან დენა. 1923 წელს შეკავშირებულ მუშათა რიცხვი იუგოსლავიაში მხოლოდ 28000 უდრის. ასეთივე ბედი ეწვია იმავე მოსკოვის წყალობით ბალკანეთის დანარჩენ ქვეყნებსაც; იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს იუგოსლავიას, სბერიანეთს, ბულგარეთს და რუმინეთს უკავია, ითვლებოდა: 1912 წელს 35 ათასი შეკავშირებული მუშა; 1920 წელს 744 ათასი; 1923 წელს კი 139 ათასი.

სავალალოა აგრეთვე ის, რომ მუშათა მოძრაობის ასეთი დაუძლურება მოხდა სწორედ ღრმა ეკონომიურ კრიზისის ხანას, როცა თავდაცვისათვის მუშათა კლასი ყველაზედ უფრო საჭიროებდა პროფესიონალურ ორგანიზაციებს. ქვეყანაში გავრცელდა უმაგალითო უმუშეგრობა, ცხოვრების გაძვირებასთან ერთად საშინლად დაეცა ხელფასი, ხოლო მუშათა სინდიკატების დარღვევით და დაუძლურებით გათამამებული კაპიტალი თანდათან ზღუდავს ომის მიმყოლ წლებში მოპოვებულ სოციალურ და მუშათა კანონმდებლობას, სამუშაო დღე აჰყავს 9, 10 და ზოგან 12 საათამდეც კი.

ამ მწარე გამოცდილებამ აუძია იუგოსლავიის მუშათა მოძრაობის საუკეთესო ნაწილს პროლეტარიატის ორგანიზაციის მთლიანობის აღდგენის სურვილი. ამავე დროს პაპიჩის და რადიჩის მორიგებამ, რაიც მოსაწევებს შეთანხმებას სერბიელებსა და კროატელებს შორის. უკანასკნელი იმედი მოუსპო ზესაბე ინტერნაციონალის ე. წ. რევოლიუციურ, ნამდვილად კი რეაქციონურ და ავანტიურისტულ პოლიტიკას. გასული წლის ოქტომბერში მოხდა იუგოსლავიის კროფ. ორგანიზაციების გაერთიანება პოლიტიკური ნეიტრალობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუგოსლავიის ახლად შემდგარ მუშათა პროფ. ორგანიზაციების კავშირში უკვე წარსულ გაზაფხულზე შესძლო დაეარაზნა თავისი წევრები კაპიტალის და მთავრობის წინააღმდეგ მეშათა სოციალური კანონმდებლობის დასაცავად. ამავე დროს იწყება მასების დენა ორგანიზაციებში. მაგალითად, რკინისგზელთა კავშირი, რომელსაც 1926 წლის 1-ლ იანვარს 2678 წევრი ჰყავდა, ამა წლის 1 სექტემბერს ითვლებოდა 5165 წევრი; ავრეთვე კერძო მოსამსახურეთა კავშირის წევრთა რიცხვი უკანასკნელი წლის განმავლობაში 1940-დან 5000-დე ავიდა. ეჭვი არაა იუგოსლავიის პროფ. მოძრაობა ბოლშევიზმის გამხარწყლ გავლენისაგან იკურნება და კვლავ დგება აღორძინების გზაზე, რომელიც, მიუხედავად მოძრაობის პოლიტიკურ ნეიტრალობისა, ხელს შეუწყობს ავრეთვე სოც. დემოკრატიულ პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ გაძლიერებას და მისი გავლენის აღდგენას და გაფართოებას.

სამრეწველო აღწერა გერმანიაში.

მიმდინარე წელს გერმანიაში მოახდინეს მოსახლეობის სამეურნეო და სამრეწველო აღწერა. აღწერის მასალა ჯერ სავსებით დამუშავებული და გამოქვეყნებული არ არის, აკლია სახელდობრ ცნობები ისეთი უადრესად ინდუსტრიული მხარეების შესახებ, როგორიცაა პრუსია და საქსონია, მაგრამ გამოქვეყნებული მასალაც უდიდეს ინტერესს წარმოადგენს გერმანიის ეკონომიური განვითარების ტენდენციების გასაგებად 1907 წლის შემდეგ, როცა მოხდა უკანასკნელი აღწერა.

წმრმოვაშინ და ალებ-მიცემობაში ჩაბმელ პირთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით:

	1907 წ.	1925 წ.
ბავარიაში	51,7 პროც.	53,7 პროც.
ვიურტემბერგში	49,4 »	59,6 »
ოლდენბურგში	42,0 »	51,6 »
ანჰალტში	40,4 »	46,8 »
ჰამბურგში	46,2 »	50,9 »
ლიუბეკში	43,5 »	47,4 »

ამნაირად 1907 წლის შემდეგ ვიურტემბერგსა და ოლდენბურგში წარმოებაში და ალებ-მიცემობაში ჩაბმელ პირთა რიცხვი იზრდება 10 პროცენტით. ანჰალტში 6 პროცენტით, ჰამბურგში და ლიუბეკში 4 პროც., ბავარიაში 2 პროცენტით. ეს ზრდა 1907 წ. შემდეგ სწარმოებდა უფრო სწრაფი ნაბიჯით, ვიდრე წინათ. წარმოებასა და ალებ-მიცემობაში მოსახლეობის საერთო რიცხვთან შედარებით ჩაბმული იყო საშუალოთ:

1882 წ. 41.9 პროც. 1895 წ. 42.7 პროც. 1907 წ. 45.5 პროც.

ზემოთ მოყვანილი ციფრები გამოხატავენ კაპიტალისტური განვითარების ძირითად ტენდენციას: საშუალო კლასების თანდათან ჩქარებიან, პროლეტარიატის რიცხვი შეუჩერებლივ და დაჩქარებული ნაბიჯით იზრდება, არსებობენის და ბრძოლის პირობები უფრო და უფრო მწვავდება. აღსანიშნავი, თუ როგორ ნაწილდება წარმოებაში და ალებ-მიცემობაში ჩაბმულთა რიცხვი სხვადასხვა ეკონომიურ დარგების მიხედვით.

ბავარიაში მრეწველობასა და ალებ-მიცემობაში ყოველ ასი კაცისაგან სასოფლო მეურნეობას უწევდა 1907 წელს—49,7, 1925 წელს კი 43,7, რაც უდრის 6 პროცენტით შემცირებას; მრეწველობაში ჩაბმულთა რიცხვი უდრიდა 1907 წ. 29,9, 1925 წ. 35,4, მომატება 5,4 პროცენტი; ვაჭრობასა და ტრანსპორტში მომატება უდრის 7,5 პროცენტს; შინაურ წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვს მოუკლია 0.6 პროცენტით; თავისუფალ პროფესიას და მოსამსახურეთა რიცხვს მოუკლია 2,4 პროცენტი.

მხოლოდ ოლდენბურგში მოუმატია სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულთა რიცხვს 43,4 პროცენტიდან 46,2 პროცენტამდე და შესაფერი პროცენტით დაუკლია მრეწველობაში ჩაბმულთა რიცხვს.

ვიურტემბერგში სასოფლო მეურნეობაში ჩაბმულთა რიცხვი დაკლებულია 3 პროცენტით, ანჰალტში—4 პროცენტით.

საინტერესოა განსაკუთრებით სწრაფი ზრდა წარმოებაში და ალებ-მიცემობაში ჩაბმულ ქალთა რიცხვისა: ვიურტემბერგში ეს რიცხვი ქალთა საერთო რაოდენობასთან შედარებით უდრიდა 1907 წელს 36.1 პროცენტს, ხოლო 1925 წელს 50 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავარიაში მოსამსახურე ქალთა რიცხვი გაზრდილა 1907-იდან 1925-მდე 43 ათასიდან 148 ათასამდე, ხოლო მუშა-ქალთა რიცხვი—343 ათასიდან 406 ათასამდე. ქალთა რიცხვის ასეთი ზრდა პროლეტარიატის რიგებში შედეგია ომისა და ინფლაციის ხანის.

ზემოთ-მოყვანილ ციფრებში გამოსახულ ტენდენციებს უეჭველია კიდევ უფრო გააძლიერებს ინდუსტრიულ პრუსიისა და საქსონიის აღწერის მასალა.

პროლეტარიატის რიცხვის ზრდა გერმანიაში სწრაფად მიდის წინ.

***